პარასკევი, 23 თებერვალი 1907 წ.

წელიწადი პირველი — № 41

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. რედაქციის და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვის ვადით დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ИСАРИ“.

მიიღება ხელის მოწერა 1907 წლისათვის.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## ისარი

გაზეთი ღირს:

| ერთის წლით: | | ნახევარის წლით: | | ერთის თვით: | |
|---|---|---|---|---|---|
| ტფილისში | 6 მ. 50 კ. | ტფილისში | 4 მ. — კ. | ტფილისში | — მ. 75 კ. |
| ტფილისს გარედ | 7 „ — „ | ტფილისს გარედ | 4 „ 50 „ | ტფილისს გარედ | — „ 80 „ |
| საზღვარ-გარედ | 12 „ — „ | საზღვარ-გარედ | 6 „ — „ | საზღვარ-გარედ | 1 „ 50 „ |

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

ხელის მოწერა შეიძლება:

ტფილისში: 1. «ისრის» რედაქციაში (ელისაბედის ქ., № 1, მილოვის სახლი). 2. «ქ. შ. წ. გ.-კ. საზოგ.» წიგნის მაღაზიაში შიო ქუჩუკაშვილთან (სასახლის ქ.). ქუთაისში: ისიდორე კვიცარიძესთან («კოლხიდის» ამხანაგობაში). ბათუმში—ხომერიკთან, ქოროხში. ფშავ... ლეჟავასთან. თელავში—ივ. პაატაშვილთან. ჭიათურაში: სოფრომ ტარიელოვთან, ჭიათურის კანკში. ზაქოში: გიორგი ჩხეიძესთან (კინკარაძის და ჩხეიძის მაღაზიაში).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ИСАРИ».

ლექ. ანდრე ზაქარიას ძე ბარნოვი უღრმეს მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ამხანაგთ, რომ 24 თებერვალს ქ. თელავში გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი უდროოდ და ტრაგიკულად გარდაცვალებულ თავის ძვირფას მეუღლის

### თამარ დიმიტრის ასულის ბარნოვის

(შობილი პაატაშვილისა) სულის მოსახსენებლად, რომელიც ჯერ ისევ ახალ-გაზრდა წვრილ-შვილი დედა, ყოვლად უდანაშაულოდ შეეწირა მსხვერპლად აგვისტოში ვერაგულ სროლას. წირვა დანიშნულია თელავის სასულიერო სასწავლებლის ეკლესიაში, ხოლო პანაშვიდი—განსვენებულის საფლავზე ნაშუადღევის 12 საათზე. (2—6.—1)

მარიამ გაბრიელის ასული და ვანო და მაქო დიმიტრის ძენი პაატაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ქ. თელავში 24 თებერვალს გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი უდროოდ სიცოცხლეს მოწყვეტილ თავიანთ საყვარელ და სიკვდილამდე დაუვიწყარ პირველის—შვილის და მეორეთა—დის

### თამარ (თაფლო) ბარნოვის

დიმიტრი პაატაშვილის ასულის, სულის მოსახსენებლად, რომელიც მსხვერპლი გახდა განმანთავისუფლებელ მოძრაობისა. წირვა დანიშნულია თელავის სასულიერო სასწავლებლის ეკლესიაში, ხოლო პანაშვიდი—განსვენებულის საფლავზე 12 საათზე. (2—6.—1)

ანნა დიმიტრის ასული და ივანე დიმიტრის ძე კალატოზიშვილები დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 24 თებერვალს, ქ. თელავში გარდახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი უდროოდ და ტრაგიკულად გარდაცვალებულ პირველის—საყვარელ დის და მეორის—დაუვიწყარ ცოლის დის

### თამარ |თაფლო| ბარნოვის,

დიმიტრი პაატაშვილის ასულის, სულის მოსახსენებლად, რომელიც ყოვლად უდანაშაულოდ შეეწირა მსხვერპლად აგვისტოს ღამის ვერაგულ სროლას. წირვა დანიშნულია თელავის სასულიერო სასწავლებლის ეკლესიაში, ხოლო პანაშვიდი—განსვენებულის საფლავზე 12 საათზე. (6. 2—1)

ბეჭდვითი საქმის მუშაკთა პროფესიონალური საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ მან გახსნა

## კანტორა

სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლაში, მეორე სართულზე, № 119, სადაც მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერონ საზოგადოების წევრათ. აქვე უნდა ჩაეწერონ უადგილო მუშები ამ ხელობისა.

კანტორა ღია არის დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე.

კახეთის მევენახეთა საზოგადოების

## „კახეთის“

გამგეობა აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ ამა 1907 წლის 11 მარტს დანიშნულია საზოგადო კრება თელავში დილის 10 საათზე ბადლად იმ კრებისა, რომელიც უნდა მომხდარიყო 18 თებერვალს და არ შესდგა. ეს კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

კრებამ უნდა განიხილოს: წლიური ანგარიში, 1906/1907 საანგარიშო წლის ხარჯთაღრიცხვა და სამოქმედო პლანი; საზოგადოების ახალი წევრების არჩევა; არჩევა სარევიზიო კომისიის ორის წევრისა, გამგეობის ერთის წევრისა და მის კანდიდატისა. (2—2)

თვალის ექიმი

**ზ. მ. ცხვედაძე**

დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ი მყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველდღე დილ. 11—1 ს. და საღ. 4—6. ვერა, ოლღას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—732—11)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი

**მიხეილ გედევანიშვილისა**

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1 ს., საღამოობით 6—7 საათ. ვერაზე, ყორღანოვის ქუჩა, საკ. სახლი № 20. ტელეფ. № 791. (წლ.— 51)

კბილის ექიმი

**ი. ზ. კანდელაკი**

იღებს კბილის სნეულებით ავადმყოფებს, სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხამს ახალ ხელოვნურ კბილებს. იღებს დილის 9—2 ს. და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპექტი, სახლი აბულაძისა, № 26. (25—6.—14)

ექიმი

**ა. ნ. დიასამიძე**

ვანიზმა და ვენერიული. დილით 9—10 ს., საღამოობით 6—8. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ექიმი

**ვ. ს. მუსხელიშვილი**

მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით $8—11^1/_2$. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

ქალ. სიღნაღში

**ექიმი ა. ა. ბალაშვილი**

1 თებერვლიდან იწყებს ავათმყოფების მიღებას. ნ. მირიანაშვილის სახლში, ფოსტის ქუჩაზედ. (24—509—21)

კბილის ექიმი

**ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, 5—7 საათზე. ვერა, ოლღას ქუჩა, № 25. (0—42)

## სამკურნალო

**სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის**

ფასი რჩევისთვის 50 კაპ.

**განქის დიდი ქუჩა, № 5.**

ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.

**ექ. ფ. ი. რუდენკო**— შინაგანი სნეულობანი. ხუთშაბათს და კვირას 3—4 ს.

**ექ. ფ. ვ. ჩუდნოვსკი**—ქირურგ. სნეულ. ორშაბ. და პარასკეობით 2—3 ს.

**ექ. მ. ი. იანჩევსკი**—ყურის, ყელის და ცხვირის. ოთხშ., პარასკ. და კვირაობით 2—3 ს.

**ექ. ვ. გ. გნუკოვი**—ქირურ. და საშარდე. ორშაბ., ხუთშ., შაბათს და კვირას 2—3 ს.

**ექ. ნ. მ. აზბინოვი**—ყურის, ყელისა და ცხვირის. ორშაბ., სამშაბ. და შაბათს 1—2 ს. ხუთშაბათს და კვირას 12—1 ს.

**ექ. ვ. გ. ზოგოვსკი** — შინაგანი წამლობა შთაგონებით; ყოველ დღე 4—5 ს.

**ექ. ა. ნ. თუთრამე**—კანისა და ვენერ. ყოველ დღე 1—2 ს.

**ექ. ა. ი. პავლიცკი.** ქირ. 12—1 ს. ყოველ დღე. კვირაობით 4—5 ს.

**ექ. ა. ა. მონზე**—შინაგანი, ბავშვების, სამშაბათს, ხუთშ., შაბათს 4—5 ს.

**ექ. ა. ფ. როზმაინზკი**—საბავშვო, ოთხშაბ., შაბათს 11—12, პარასკ. 1—2 ს.

**ექ. ნ. ი. ნეუმინი**—თვალისა, ორშაბ., სამშაბათს, ოთშაბ., შაბათს 11—12 ს.

**ექ. ა. ა. ნოვიცკი**—ქალისა და ბავშვისა, ოთხშაბ. და კვირას 12—1, პარასკ. 1—2.

**გ. ი. ნნაეგ.**—შინაგანი 1—2 ს. სამშ., ოთხშ., შაბ., კვირ.; ქალებისათვის—ორშაბ., ხუთშაბ. 1—2 ს., პარასკ. 12—1 ს.

**ექ. ზ. ფ. ნივზოროვა** — კბილისა, ყოველ დღე 11—5.

**ექ. მ. ი. გოროდცევა.** მასსაჟი 11—4 ს.

**ექ. გ. მ. პივარსკი** | კლინიკური ანალიზი.

**ექ. გ. ი. ჩუდნოვსკი** | კლინიკური ანალიზი.

**ექ. გ. ი. თინოზკო**—საექიმო გიმნასტიკა, მასაჟი, ელექტრიზაცია 4—6 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—6.—55)

**სახაზინო თეატრი**

შეერთებული ამხანაგობა არტისტებისა პარასკევს, 23 თებერვალს 1907 წ. გასტროლი **აიდა გონზაგოსი და ელვინო ვენტურასი** შესრულებული იქნება

## ლაკმე

ოპერა 3 მოქმ.

შაბათს, ბენეფისი ვ. სანგურსკისა, შესრულებული იქნება პირველად განახლების შემდეგ **«დონ პასკვალე»**. მუსიკა დონიცეტისა.

გამგე ოპერისა ამხ. **ვ. ლ. ურუშამე.**

შაბათს, 24 თებერვალს, ნიკოლოოზის ქუჩაზე, ქალთა ქართულ სასწავლებლის სადგომში (საგინაშვილის სახლი, № 7) **ტფილისის სათავად-აზნაურო ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ** გაიმართება

## საღამო საკონცერტო განყოფილებით

კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ, ქ-ნნი სვეტადე-ყორღანოვა, ძნელაძისა, ბელიროზოვისა; ბ-ნნი ბარათაშვილი, შტენბორსკი და ქორიძე.

კონცერტის შემდეგ

## ლოტო

ბილეთები იყიდება ქართულ ქალთა სკოლის გამგის ქ-ნ ა. ლ. ქავთარაძესთან (ნიკოლოოზის ქუჩა, საგინაშვილის სახლი, № 7). (2—უ.—1)

ქართული წარმოდგენა

**ტფილისის საკრებულოში**

შაბათს, 24 თებერვალს 1907 წ. ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

## დედაკაცის საქმე

კომედ. 2 მოქ. ვ. გუნიასი.

ადგილების ფასი 30 კ-დან ვიდრე 1 მ-მდე.

**წარმოდგენის შემდეგ**

**მეჯლისი და ლოტო.**

წარმოდგენა დაიწყება საღამოს $8^1/_2$ საათზე.

## ჩვენი დღიური.

ბევრმა სხვა და სხვა გარემოებამ ხელი შეუწყო ს.-ფედერალისტების დამარცხებას უკანასკნელ არჩევნებში. მოწინააღმდეგეთა არა შესაფერ მოქმედებას დიდი გავლენა ჰქონდა ამ დამარცხებაზე. მაგრამ უნდა ვიყოთ სამართლიანი და ყველაფერი სხვას არ უნდა გადავაბრალოთ. ჩვენს გულშიაც უნდა ჩავიხედოთ, ჩვენ საკუთარ სახლშიაც უნდა შევიხედოთ, უნდა შევიხედოთ ყველაზე უწინარეს და კარგად გამოვიკვლიოთ ჩვენი საკუთარი ნაკლულევანებანი. წარსულ არჩევნებს ყველაზე მეტი მნიშვნელობა იმით ჰქონდა პარტიისათვის, რომ იგი იყო ეგზამენი, გამოცდა პარტიის ძალის და უძლურებისა, ღირსების და სისუსტისა. დაწვრილებით შესწავლა საარჩევნო კამპანიისა, ჩვენის გამარჯვების და დამარცხების გულდასმით გამოკვლევა ბევრს რასმე შეგვძენს, და ამ გამოკვლევის დროს უფრო საჭიროა ნაკლულევანების შესწავლა და შეგნება, ვიდრე კარგის თვისებისა. უნდა აღვიაროთ მოურიდებლად, რომ ჩვენს პარტიას ბევრი სუსტი მხარე აქვს, ბევრი შეუფერებელი მოვლენა ხდება პარტიულ ცხოვრებაში და რაც შეიძლება მალე უნდა გავწმინდოთ ყველა ამისაგან, მაგრამ გაწმენდისათვის საჭიროა ნაკლის შეგნება.

ამ მხრივ ფრიად საყურადღებოა ბ. გ—ის განზრახვა («ზაკავ.» №№ 38, 39), რომელსაც გულწრფელად მოუნდომებია ს.-ფედერალისტების დამარცხების მიზეზების გამოკვლევა. განზრახვა მოსაწონია და ზოგიერთ რამეში არ შეგვიძლია არ დავეთანხმოთ პატივცემულ ავტორს. მაგრამ სამწუხაროა ისაა, რომ ბ. გ—ის წერილებში რამდენიმე მართალი მოსაზრება გაფანტულია მრავალ შემცდარ აზრებსა და დამახინჯებულ ფაქტებში. ეტყობა, რომ ავტორი იმდენად დაახლოვებული და გაცნობილი არა ყოფილა ს.-ფედერალისტების პროგრამასა და მოქმედებასთან. ავტორი ლაპარაკობს კეთილის განზრახვით, ამიტომ ეპატიება შეცდომები. ხოლო უკეთესად მოიქცეოდა, რომ უფრო დაკვირვებით და ფრთხილად შეხებოდა პარტიის საქმეებს. მოგვწონს მისი გულ-ახდილობა და გაბედულობა, მაგრამ ამ გულახდილობას არ უნდა შესწიროს ადამიანმა სიმართლე. კეთილი განზრახვა ხშირად ბოროტს საქმეს იწვევს. ასე მოუვიდა ჩვენს ავტორსაც. უნდოდა სამსახური გაეწია პარტიისათვის სიმართლის გამოკვლევით, მაგრამ გადასცდა სიმართლეს და ჩაიგდო შეცდომებში, უნებურად ცილი დასწამა პარტიას.

ავტორი ამტკიცებს, ვითომც ს.-ფედერალისტების პროგრამაში გამოცალკევებული, მეტად ხაზგასმული იყოს ეროვნული საკითხი, რომ ქადაგების დროსაც ს.-ფედერალისტები უმთავრეს და უპირველეს ყურადღებას ეროვნულ საკითხს აქცევდნენ, რომ ს.-ფედერალისტების პარტია ვიწრო ეროვნულ ხასიათს იღებს და მისთვის ყველაზე უწინარეს უნდა გადასწყდეს ეროვნული საკითხი და მერე სხვა საკითხებიო. ავტორი გვარწმუნებს, მე თვითონ მინახავს კრებებზე, რომ ს.-ფედერალისტები გლეხებს სულ ავტონომიასა და ეროვნებაზე ელაპარაკებოდნენ და ერთ კონფერენციაზე (?) მქადაგებლებმა განაცხადეს, რომ ჩვენ ეკონომიურ საგანს არც კი შევხებივართ სოფლებშიო.

სულ ეს ერთი ცილის-წამებაა (უნებური, დავუმატებთ) და ვინც დაახლოვებით იცნობს ს.-ფედერალისტების მოქმედებას, ის პირიქით იმას შენიშნავდა, რომ განსაკუთრებით უკანასკნელ ორ წელს ს.-ფედერალისტების ქადაგებაში გაბატონებული იყო აგრარული საკითხი! არსად არ მომხდარა, რომ ჩვენს მქადაგებელს ეთქვას გლეხისათვის: ჯერ შენ შენი ქართველობა დაიცავი და მერე სხვა რამეზე იფიქრეო. პირიქით, ყველაზე უწინარეს იმას ვეუბნებოდით გლეხებს, რომ ჯერ მიწა მოიპოვე, მოითხოვე მიწის გასაზოგადოება, რადგან მხოლოდ ამით დაედება მკვიდრი საძირკველი შენს კეთილდღეობას.

ს.-ფედერალისტების პროგრამაში არის ნათლად წამოყენებული ეროვნული საკითხი. ამას ჩვენ არ ვმალავთ. ს.-ფედერალისტებს, როგორც ეროვნულად დაჩაგრულ ხალხში მომქმედ პარტიას, არ შეეძლოთ არ შეეტანათ თავიანთ პროგრამაში ეროვნულ საკითხის გადაწყვეტა. ეს ღირსებაა პარტიისა და არა ნაკლულევანება. ს.-ფედერალისტების პარტია ჰაერში არა ჰკიდია, განსაზღვრულ ისტორიულ, პოლიტიკურ და ეროვნულ პირობებში მოქმედებს და კარგად ხედავს, რომ თავისუფლება განყენებული შემეცნება არაა, მის განსახორციელებლად საჭიროა შესაფერი რეალური პირობები და ქართველი ხალხი ვერ მოიპოვებს ვერავითარ თავისუფლებას (თავისუფლებას, რომელსაც შინაარსი ექნება), სანამ ეს თავისუფლება არ დამყარდება ადგილობრივ საკანონმდებლო თვითმართველობაზე და სანამ არ იქნება უზრუნველ-ყოფილი ქართველი ხალხის ეროვნული თავისუფლება.

ბ. გ—ი იმეორებს იმ ჭორს, რომელიც განზრახ საკმაოდ გაავრცელეს ს.-დემოკრატებმა, ვითომც ს.-ფედერალისტები ურჩევდნენ ქართველ გლეხობას: შენ სხვა ხარ, ცალკე გამოდი, სხვებთან ერთად ნუ იმოქმედებო. სად წაიკითხა, სად გაიგონა ჩვენმა ავტორმა ასეთი ქადაგება ს.-ფედერალისტებისა? განა ჩვენ მუდამ იმას არ ვწერდით და არ ვლაპარაკობდით სიტყვიერად, რომ ჩვენი მოძრაობა ჩაქრება და მოკვდება, თუ ის არ მიჰყვა და არ შეუერთდა საერთო რუსეთის მოძრაობას? განა მუდამ რუსის გლეხებზე არ ვუთითებდით ჩვენებურ გლეხებს? განა ფედერალისტებმა არ წამოაყენეს ყველაზე პირველად საკითხი კავკასიელ ერთა კავშირისა? ან ეგებ, ბ. გ—ს ჰგონია, რომ ავტონომია, თვითმოქმედება და თვითმმართველობა ეწინააღმდეგება ერთობას და სოლიდარობას?

საკვირველი წინააღმდეგობაა ჩვენის ავტორის აზრებში. ერთის მხრით ამბობს, რომ ეროვნული საკითხი არსებობს, იგი უფრო გამწვავდება განვითარებულ ბურჟუაზიულ ხანაში და ს.-დემოკრატები სცდებიან, რომ ამ საგანს ყურადღებას არ აქცევენო. მეორეს მხრით უსაყვედურებს ს.-ფედერალისტებს, რად წამოაყენეთ ეროვნულ საკითხის გადაწყვეტაო. საკვირველია: ან ერთი, ან მეორე. ან ეროვნული საკითხის გადაწყვეტა არაა საჭირო, ან ეხლანდელი რევოლიუცია ხელს უწყობს ბურჟუაზიულ წეს-წყობილების განმტკიცებას (როგორც ს.-დემოკრატები ფიქრობენ და ბ. გ—იც ფიქრობს), ეროვნული საკითხი უფრო გამწვავდება და, მაშასადამე, ეხლავე უნდა იქნეს მიღებული ზომები იმის სასურველ გადაწყვეტისათვის. თუ უკანასკნელია აუცილებელი, საჭიროა ეროვნულ საკითხის გარკვევა და არა დაბნელება, როგორც ამას შვრებიან ს.-დემოკრატები და როგორც ფიქრობს «ერთის მხრით» ბ. გ—იც.

არა, ს.-ფედერალისტებს არასოდეს არ უთქვამთ, რომ ეროვნული საკითხის გადაწყვეტა ყველაფერიაო, ხოლო მათ პროგრამაში, სხვათა შორის, საქართველოს ავტონომიაც არის შეტანილი, ამისათვის კი საყვედური არ ეთქმით... ხ—ა

## გალიციის პოლონელები.

პოლონეთის ერის მრავალ ტანჯული ისტორია კარგად არის ცნობილი. ერთ დროს ძლიერი და სახელოვანი სახელმწიფო მისუსტდა. ამ სისუსტით ისარგებლეს მეზობლებმა, მოილაპარაკეს, თითქოს კერძო სავაჭრო საქმე იყო, და ცოცხალი ერი ერთმანეთში გაინაწილეს. ამ ალმაშფოთებელ ძალმომრეობიდან იწყება მოწამებრივი ისტორია პოლონეთისა. თავგამოდებულად იბრძოდნენ პოლონელნი მამულიშვილები სამშობლოს განთავისუფლებისათვის, სისხლით მორწყეს პოლონეთის მიწა-წყალი, ციმბირის ცივი და მიყრუებული ადგილები აივსო პოლონეთის საუკეთესო შვილებით. მაგრამ დღემდე პოლონეთი მწარედ კვნესის უცხოელების ბატონობის ქვეშ. უფრო აუტანელია პოლონელების მდგომარეობა რუსეთსა და პრუსიაში. აქაც და იქაც ურცხვად, უსინდისოდ სთელავენ ფეხით სულ უბრალო, ელემენტარულ სამართლიანობას, მხეცურად სდევნიან პოლონელს, როგორც პოლონელს. „ნუ იქნები პოლონელიო“, მრისხანედ უბრძანებენ პოლონეთის შვილს ბარბაროსულ რუსეთშიაც და განათლებულ, კულტურისან ევროპაშიაც. დღეს პირდაპირ ჯვაროსული ომია გამართული პოზნანში იმ პოლონელ ბავშვების წინააღმდეგ, რომელნიც სკოლაში პოლონურად სიტყვის დაძვრას ბედავენ.

რაც უფრო მკაცრი და შეუბრალებელია დევნა, მით უფრო მეტის თავგამოდებით იბრძვიან პოლონელები თავის ხალხოსნობის დაცვისა და შენახვისათვის და მთელი განათლებული, ნამდვილად კულტუროსანი კაცობრიობა პატივისცემით და სრულის თანაგრძნობით უცქერის მათ ბრძოლას სულის აღმაშფოთებელ ძალმომრეობის წინააღმდეგ.

პოლონელმა სავსებით იწვნია და იგემა ეროვნულ დევნის მთელი ბარბაროსობა და საშინელება და ამიტომ იგი სულითა და გულით წინააღმდეგი უნდა იყოს ყოველ ნაციონალისტურ პოლიტიკისა, ზიზღით უნდა უცქეროდეს სხვა ერების მდევნელთ და თანაუგრძნობდეს ყოველ დაჩაგრულსა და დევნილ ეროვნებას.

გალიცია პოლონეთის ის ნაწილია, რომელიც წილად ავსტრიას ჰხვდა. სხვა

და სხვა ისტორიულ პირობების გამო ავსტრიელი პოლონელები უკეთეს მდგომარეობაში ჩავარდნენ და ეროვნულ დევნის სუსხს ასცდნენ. შედარებით ავსტრიის პოლონეთი თავისუფალია და ეროვნულ ძალმომრეობას არ განიცდის. სამაგიეროდ, თვით გალიციელი პოლონელები გამოდიან მდევნელების როლში.

გალიციაში სამ მილიონამდე რუსინი (მალოროსიელი) სცხოვრობს და ეს რუსინებია, რომ გაუხდიათ პოლონელებს თავიანთ ნაციონალისტურ პოლიტიკის საგნად. დიდი და ხანგრძლივი ბრძოლა დასჭირდათ რუსინებს, სანამ ეროვნულ დაბალსა და საშუალო სკოლას დაიარსებდნენ, დიდი ხანია იბრძვიან უნივერსიტეტისათვის, მაგრამ დღემდე საწადელს ვერ მიაღწიეს. გალიციის მთავრობა სულ იმის ცდაშია, დააბრკოლოს რუსინების ეროვნული განვითარება, პოლონიზმი გააძლიეროს, რუსინობა შეასუსტოს. ერთის სიტყვით, გალიციის მთავრობა ადგას იმავე ძალმომრეობის პოლიტიკას, რომელსაც ასე ჰკიცხავენ პოლონელები პოზნანში, მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ პრუსია ძლიერი სახელმწიფოა და მისი ძალმომრეობითი პოლიტიკაც უფრო ძლიერი და ურცხვია.

თუ პრუსია-რუსეთის ძალმომრეობითი პოლიტიკა აღმაშფოთებელია, მით უფრო მეტ აღშფოთებას იწვევს დევნილ ერის ასეთივე ქცევა. მით უფრო გასაკიცხი და დასაგმობია გალიციის პოლონელების მთავრობა, რომელიც პრუსიის მთავრობას კი ჰკიცხავს და ამავე დროს თვითონ იმ მთავრობასავით იქცევა. პრინციპი ეროვნულ თავისუფლებისა ყველასათვის სავალდებულოა, მაგრამ იგი სავალდებულოც და წმინდაც უნდა იყოს იმისთვის, ვინც თვითონ დევნილი და წამებულია ამ პრინციპისათვის. და სწორედ ეგრე ესმის ეს საკითხი პოლონეთის დემოკრატიას, რომელიც მხარი-მხარ იბრძვის რუსინების დემოკრატიასთან ერთად უკეთეს წეს-წყობილების დასამყარებლად. სამწუხაროდ გალიციის გამგებლობა ჯერ კიდევ არისტოკრატიის, თავად-აზნაურობის ხელშია და ეს თავად-აზნაურობაა, რომ ნაციონალისტურ პოლიტიკის გზას ადგია. მაგრამ დღითი დღე იზრდება გალიციის დემოკრატიის ძალა, მალე გასტეხს იგი პოლონელ არისტოკრატიის ბატონობას და ბოლო მოეღება ეროვნულ ძალმომრეობასაც.

## სათათბირო და საბჭო

(სააგენტოს დეპეშები)

**პეტერბურგი.** მეორე სახელმწიფო სათათბიროს გახსნის თაობაზე გაზეთი «როსსია» ამბობს: მეორე სათათბიროს გახსნა მოხდა მშვიდობიანად. პირველი შთაბეჭდილება კარგია, თითქმის დამაკმაყოფილებელი. მეორე სათათბიროს, მიუხედავად იმისა, რომ ძლიერ ჭრელია და ოპოზიციონური, მაინც ეტყობა, შესძლებს ნაყოფიერ პრაქტიკულ მუშაობას. ამაში ჩვენ გვარწმუნებს თავმჯდომარის არჩევანი. ახალმა თავმჯდომარემ თავის ძნელი საქმე მარტივ და პირდაპირ განცხადებით დაიწყო. იმის სიტყვების ტაქტიკობა ეჭვს გარეშეა. «რეჩი» აღნიშნავს, რომ არა თუ მემარცხენენი, მემარჯვენენიც დინჯად იქცეოდნენ. «სლოვო» ამბობს, რომ ხალხის წარმომადგენლები გამსჭვალულნი არიან სათათბიროს არსებობის საჭიროებით. ამ საჭიროებას დეპუტატების სიდარბაისლე ამტკიცებს. სათათბიროს გახსნის დღეს ამნისტიას და საველე სასამართლოების გაუქმებას არ ჰყვიროდნენ, თუმცა ერთისა და მეორის საჭიროებას დეპუტატების უმრავლესობა უთუოდ ჰგრძნობდა. თავმჯდომარის სიტყვას დამამშვიდებელი ხასიათი ჰქონდა. «ტოვარიშჩი» ამბობს: «ხალხის წარმომადგენლნო, გაუფრთხილდით თქვენდამი მინდობილ სახ. სათათბიროს. ერთსულოვნად არჩეულ თავმჯდომარის სიტყვამ დაგვანახვა, რომ სათათბირო ამ არჩევანით კმაყოფილი დარჩება. ახალი მესაჭე მაღალ მოწოდების ღირსი აღმოჩნდა. თავმჯდომარე საქებურად გამოვიდა ძნელ მდგომარეობიდან, იმის სიტყვაში არის ის, რაც საჭიროა, არც მეტი და არც ნაკლები».

სახ. სათათბიროს თავმჯდომარე დღეს ხელმწიფემ მიიღო. შემდეგი სხდომა მოხდება 23 თებერვალს შუადღისას. ხელმწიფემ აუდენციის დროს სურვილი გამოსთქვა ახალ სათათბიროს ნაყოფიერ მოქმედების შესახებ. სათათბიროს სამოქმედო ნიადაგი მინისტრთა საბჭოს კანონპროექტებმა მოამზადესო. შემდეგ გოლოვინი დედოფალს წარუდგინეს.

სახ. სათათბიროს წევრის ხომიაკოვის თავმჯდომარეობით მოხდა მემარჯვენეთა კრება. არჩევდნენ საკითხს, თუ როგორ უნდა შეხედონ მემარჯვენეებმა ამნისტიის მოთხოვნას. უმრავლესობამ ის აზრი გამოსთქვა, რომ ამ მოთხოვნას რამდენადმე მაინც მხარი უნდა დაუჭირონ, მაგალითად, ამნისტიას ბეჭდვით-კანონის წინააღმდეგ დასჯილთათვის და იმ რევოლიუციონურ დანაშაულთათვის, რომელთაც სისხლის ღვრა და კაცის კვლა არ მოჰყოლია.

შესდგა კაზაკების საპარლამენტო ფრაქცია 18 დეპუტატისაგან. ყველანი კაზაკები არიან. ფრაქცია მიზნად ისახავს, დაიცვას კაზაკების ინტერესები და მოახდინოს რეფორმები კაზაკთა ყოფა-მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ფრაქციის უმრავლესობა კადეტებს ემხრობა. თავმჯდომარედ დეპუტატი შჩებრინაა.

სახ. სათათბიროს თავმჯდომარის მოადგილედ დიმიტრი ალექსის ძე კაზიცინი აირჩიეს. კაზიცინი რუსის კრების (?) წევრია.

კადეტთა კომისიამ გესენის თავმჯდომარეობით განიხილა მთავრობის მიერ შემუშავებული პროექტი ადგილობრივ სასამართლოს რეფორმის შესახებ, და მისაღებად სცნო იგი.

სახელ. სათათბიროში ადგილების მომწეს-რიგებელმა კომისიამ დეპუტატების ადგილები ამნაირად გაანაწილა: მარცხნივ სოციალ-დემოკრატები, სოც.-რევოლიუციონერები, შრომის ჯგუფი, სახალხო სოციალისტები, მერე კადეტები, პოლონელნელთა კოლო, უპარტიონი, პროგრესისტები, ოქტომბრისტები და მემარჯვენენი.

კადეტების საპარლამენტო ფრაქცია დაჟინებით სცდილობს, რომ თავმჯდომარის ამხანაგად ტესლენკო გაიყვანოს, თუმცა მემარცხენენი ამის წინააღმდეგნი არიან.

(გაზეთებიდან)

**ბოლშევიკების დადგენილება.** ბოლშევიკებმა კონფერენციაზე დაადგინეს, რომ სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენლებმა სათათბიროში დამოუკიდებლად უნდა იმოქმედონ და არავითარი უფლება არა აქვთ სხვა პარტიებთან შეთანხმება მოახდინონ. კონფერენციამ სასურველად სცნო უკიდურეს მემარცხენე ჯგუფების წარმომადგენლებისაგან ბიუროს დაარსება. ამ ბიუროს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება სოციალ-დემოკრატებისთვის სავალდებულო, თუ პარტიის პრინციპებს არ ეწინააღმდეგება.

**სოც. რევ. პარტიის განზრახვა.** სახელმწიფო სათათბიროს უახლოეს სხდომაზე სოც. რევ. პარტია შეიტანს თავის ვრცელ კანონპროექტს საადგილ-მამულო რეფორმის შესახებ. ამ ჟამად სცდილობენ შეადგინონ სათათბიროში ვრცელი სახალხო ფრაქცია, სადაც შევლენ სოც. რევ.-ები მშრომელთა ჯგუფის წარმომადგენლები, ნაროდნო-სოციალისტები და გლეხთა კავშირი. ფრაქციას სურს ამნაირად შეაერთოს მეორე სათათბიროში საადგილ-მამულო საკითხის ნიადაგზე უპარტიო მემარცხენე დეპუტატების უდიდესი ნაწილი, განსაკუთრებით კი გლეხები, უსოციალდემოკრატებოდ.

**ავტონომისტთა ფრაქცია.** 16 თებერვალს პეტერბურგში ავტონომისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის და საოლქო კომიტეტების წარმომადგენელთა შეერთებული სხდომა მოხდა. გადასწყვიტეს დაარსონ ცალკე საპარლამენტო ფრაქცია და ადგილობრივ-კავშირის განყოფილებანი. კავშირის ცენტრალურ კომიტეტში არჩეულ იქნენ: თავმჯდომარედ—პროფ. ვერნადსკი, იმის ამხანაგებად—პროფ. პეტრაჟიცკი და ი. კომაროვსკი.

**შეტაკება.** როგორც გაზ. «ჟამანაკ»-ს კერძო დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდან, 20 თებერვალს სახელმწიფო სათათბიროს შენობასთან შეტაკება მომხდარა შეგროვილ ხალხსა და პოლიციას შორის, რომლის დროსაც ძალზე უცემიათ 40 კაცისთვის, მათ შორის ერთის დეპუტატისთვის. უნივერსიტეტში მომხდარა დიდი მიტინგი, რომელზედაც ულაპარაკნია სათათბიროს ბევრ წევრსაც.

## ახალი ამბავი

✦ **გაზეთის დაკეტვა.** ბათუმიდან გვატყობინებენ, რომ 20 თებერვალს ადმინისტრაციას დაუკეტნია გაზეთი „ჩერნომორ"-ის რედაქცია და სტამბა; ზოგი თანამშრომელი, მათ შორის ვ. წერეთელი, ს. მიხაილოვი, ა. ივანოვიჩი და სხვანი, დაუტუსაღებია და მეორე დღეს ქალაქიდან გაუძევებია.

✦ **ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი.** სამხედრო-საოლქო სამართალში მისცეს ივანე გოგოლაური, რომელსაც აბრალებენ სხვა და სხვა ძარცვა-გლეჯას და თავ-დასხმას გორსა და ტფილისის მაზრებში. სხვათა შორის ჰბრალდება კვეზერელ-კობაძის და გენერლის ცოლის ხოჯამინასოვის სახლებზე თავდასხმა. ვიატკის გუბერნიაში ხუთის წლით იგზავნებიან გორის მაზრის ტანის-ხიდის მცხოვრები იოსებ იოსამაშვილი. ჰბრალდება ძარცვა-გლეჯა და თავდასხმა. ასტრახნის გუბერნიაში გადასახლებულს ალექსანდრე ხავთასის ნება მისცეს უკან დაბრუნდეს. ტფ. საგენერალ-გუბერნატოროდან ეტაპით იგზავნებიან: ანნა კორიკმონი და მართა სინელიკოვა; სამისთვის დააპატიმრეს მთავრობის საწინააღმდეგო პროპაგანდისა და პროკლამაციის გავრცელებისთვის დუშეთის მაზრის მცხოვრებნი კოტე ხუბაშვილი და რაჟდენ ბუთხული, აგრეთვე შაქრო ოსიშვილი, რომელსაც ბერდანა აღმოაჩნდა. სიღნაღის მაზრის სოფ. პრასიანის სოფლის მცხოვრებნი „ბოროტ მოქმედთა დაფარვისათვის" დააჯარიმეს 1500 მანეთით. თითო თუმნით დააჯარიმეს 76 კომლი (?) იმურის, ომარო თუშეთის და სხვა სოფლის საზოგადოებისა. ამათ აბრალებენ სოფელ ფშავლის ორი მცხოვრების მკვლელთა დაფარვას.

✦ **„ვაკე"-ს შესახებ.** როგორც ვწერდით, ნამესტნიკმა ნება დართო ტფ. ქალაქის თვითმართველობას, „ვაკე" ქალაქის საზღვრებში შეიტანოს. გამგეობა მალე მოიწვევს მოსალაპარაკებლად „ვაკეს" მამულების პატრონებს.

✦ **კანდიტერის პატრონის დაჭრა.** 21 თებერვალს მეორედ დასჭრეს კანდიტერის პატრონი ალექსი იუზბაშევი. იუზბაშევი საღამოს 8 საათზე ბრუნდებოდა სახლში, [illegible] ოთხჯერ უსროლეს რევოლვერი. იუზბაშევმაც უპასუხა მსროლელს, მაგრამ იგი მალე მიიმალა. იუზბაშევს ერთი ტყვია თავში მოჰხვდა, მეორე ზურგში, მესამე ფეხში. დაჭრილი თავის ბინაზე გაგზავნეს.

✦ **კიდევ დუშეთის საქმის შესახებ.** გუშინ ვწერდით, დუშეთის ხაზინიდან ფულის გატაცების შესახებ, რომ როგორც „ბირ. ვედ." გადმოგვცემს, ბრალდებულთა საქმე „სამხედრო-საველე საოლქო სასამართლოს გადასცეს განსახილველადაო". უნდა იყოს სამხედრო-საოლქო სასამართლოს. როგორც ქალაქში ხმა დადის, რუსული გაზეთის ეს ცნობა ტყუილია. საქმე ჯერ სასამართლოსთვის არ გადაუციათ თურმე.

✦ **ფარმაცევტთა კრება.** 20 თებერვალს ტფ. სამკურნალო საზოგადოების სადგომში მოხდა ტფილისელ ფარმაცევტების კრება პროფესიონალურ კავშირის დაარსების შესახებ მოსალაპარაკებლად. გამოირკვა, რომ ფარმაცევტებს 1906 წლის 4 მარტის კანონის ძალით ნება აქვთ შეადგინონ ლეგალურად კავშირი. კრებამ გაიცნო და მიიღო კავშირის პროექტი. მერე კრებამ აირჩია კომისია და დაავალა შუამდგომლობის აღძვრა პროექტის დამტკიცების შესახებ.

✦ **მკვლელობა.** 22 თებერვალს ამაღლების ქუჩაზე ვიღაც უცნობმა რამდენჯერმე რევოლვერი დაახალა ამას წინად მოკლულ საგუბერნიო სამმართველოს საქმის მწარმოებელის თულაშვილის მცველს. იგი იქვე მოჰკლეს.

✦ **მამასახლისის გადაყენება.** ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო ხურვალეთის მამასახლის ჩოჩიშვილზე რამდენიმე საჩივარი სხვა და სხვა უსამართლო საქმეების ჩადენისა გამო. როგორც გადმოგვცეს, გორის მაზრის უფროსს ეს ცნობები შეუმოწმებია და ნამდვილი აღმოჩენილა, რის გამოც მამასახლისი ჩოჩიშვილი მაზრის უფროსს გუგუშვილს, სამსახურიდან გადაუყენებია.

✦ **ლეჩხუმის თავად-აზნაურთა დეპუტაცია.** 16 თებერვალს ქუთაისის გუბერნიის მარშლის თავ. წერეთლის წინამძღოლობით ნამესტნიკთან ყოფილა ლეჩხუმის თავად-აზნაურთა დეპუტაცია. დეპუტაციაში ყოფილან თავ. იასონ გე-

## ფელეტონი

არ ახალია,—ძველია

**ეკონომიური მატერიალიზმი.**

III *)

მეორე შესანიშნავი მაჩვენებელი რელიგიის განვითარებისა პირდაპირი ზეგავლენით გეოგრაფიულ წრის მხრივ, რომელიც აგრეთვე განსაზღვრავს იმავე დროს ადამიანის ეკონომიურ ძალას, არის ეგვიპტელთა ქებათა-ქება მდინარე ნილისა. საჭიროდ მიგვაჩნია ამ ქებათა-ქების სრული გარდმოწერა ქართულად:

*I.* „სალამსა გიძღვნით შენ, ჰაპი, რომელიც გამოდიხარ ამა მიწიდან და სიცოცხლის სულსა შთაბერავ მთელს ეგვიპტეს; შენ, რომელიც შენს მოსვლას სიბნელით ჰფარავ იმ დღესაც კი, როდესაც ვუგალობთ მოსვლასა შენსა,—შენს ტალღებს, რომელიც რას[1]) მიერ შექმნილ ამწვანებულ მდელოებს ეფინება, რომ სული ჩაუდგას ყველა მწყურვალე არსთა,—შენ, რომელსაც ციდან ჩამოღვრილი წყლით არა გსურს მორწყო უდაბნონი; ოდეს შენ ჩამოხვალ, სიბუ, ღმერთი მიწისა, ალივსება პურითა, ნაპრი, ღმერთი ხორბლისა სწირავს მსხვერპლსა,—პტას [2]) კეთილ-დღეობა შეაქვს სახელოსნოებში.

*II.* იგი (ჰაპი) ბატონია თევზთა, როდესაც გასცილდება წყალ-ვარდნილსა,—ფრინველები ყანებს აღარ ეცემიან, იგი შემოქმედია პურისა, მწარმოებელი ქერისა,—იგი ხანგრძლივ ჰყოფს ტაძართა. მისი თითები მომცდარ არიან, ტკივილებით შეპყრობილი?—მაშინ მილიონობით არსებანი იტანჯებიან; იგი მცირდება ცაში?—მაშინ კაცებითა და ღმერთებიც იხოცებიან.

*III.* მხეცები ცოცდებიან და მთელი მიწა,—დიდი და პატარა იწამების! თუ კი კაცები ლოცულობენ, როდესაც იგი ზევით იწევა და ადამიანთათვის „ხნუმოს" [3]) აკეთებს,—და ოდეს ზევით ავა, მიწა ღაღად-ჰყოფს ხმითა სიხარულიაითა,—მაშინ ყოველი კუჭი მხიარულია, ყოველი ზურგი ირყევა სიცილით, ყოველი კბილი ღრჭიალებს.

*IV.* მას მოაქვს საზრდო მდიდარი,—ყოველ კეთილ საგანთა შემოქმედს, ყოველ თესლთა ბატონს; იგი კეთილ არს თავის არჩეულთადმი, თუ ესენი მოიხვეჭენ მის მეგობრობას; იგი ჰქმნის საქონლის საკვებს, ყველა ღმერთთა სამსხვერპლო შესაწირავთა,—და საკმეველი მისგან ნაყონსი ყველაზე უტკბესია.—ოდეს მას უპყრავს ორივე მხარე ქვეყნისა,—ბეღელნი და საწყობნი სავსენი არიან, და ღარიბთა სიკეთეც უზომოა.

*V.* კაცნი აღასრულებენ უკლებლივ ყველა სურვილთა მისთა. მისი უძლიერესი სურვილი და დიდება არს, რომ გემები იყოს წყალსა ზედა. მას არ უგებენ ქვის კერპთა, არც ქანდაკებათა ორმაგი გვირგვინით, იგი უხილავ არს; მას ხარკსა და შესაწირავთა არ მიართმევენ; არ უგალობენ მას სიტყვითა საიდუმლოთა; არ იციან ადგილი მისი.

*VI.* არა არს სახლი, სადაც შენ დაეტეოდე, არა არს კაცი, რომელიც შეიდევს გულსა შენსა შინა!—მაგრამ შთამამავლობანი შვილთა შენთა იხარებენ შენით,—ვინაიდან შენ მეფობ ხელმწიფებრ, რომლის ბრძანებათ ემორჩილება მთელი ქვეყანა; ძალსა შენსა გრძნობენ კაცნი ჩრდილოეთისანი და სამხრეთისანი, ცრემლთა მათთა თვალთაგან მათთა გარდმომდინარეთა შესვამ შენ, მომნიჭებელო ყოვლისა სიკეთისა.

*VII.* სადაც ტანჯვა იყო, სიხარული მეფდება,—ყოველი გული კმაყოფილ არს,—სავკუ კროკოდილი, შვილი ნიტისა, სიხარულითა ხტის, ვინაიდამ ნათესავი ღმერთთა, რომელიც შენი თანამსრბოლია, ახდენს ყოველთა განკარგულებათა,—ადიდებითა ირწყვის მინდვრები, კაცნი აღიგზნებიან ვაჟკაცობითა; ერთი მეორის მუშაობით განიბანების, და უსიამოვნობას მათ შორის ადგილი არ აქვს[4]).

*VIII.* ოდეს ტიჩილითა გთხოვენ წლიურ წყალსა,—მაშინ მოდიან ყველანი ერთად, კაცნი თებაიდისა და ჩრდილოეთისა,—მაშინ მოდიან კაცნი და ყველას აქვს იარაღი ხელობისა თვისისა, ერთმანეთს უკან არ ჩამორჩებიან; აღარ არს მოკაზმულობა დღესასწაულისა,—შვილთა თოტისა, ღმერთისა სიმდიდრისა აღარ აქვსთ სამკაულნი თვალმარგალიტისა: არამედ არიან მოცულნი სიბნელითა! მაგრამ ოდეს პასუხი გაეც კაცთ წყლის ადიდებითა,—ყველანი ისხამენ სუნნელოვანებთა.

*IX.* შემოქმედო ყოვლისა სიკეთისაო, სასოებაო ადამიანთა, აჰა სიტყვანი მომხიბვლელნი, რომ მივიღოთ პასუხი შენი; უკეთუ უგებ პასუხს კაცობრიობასა ოკეანეს ზეციურ ზვირთებითა,—მაშინ ნაპრი, ღმერთი თესლისა, მოიტანს მსხვერპლსა შესაწირავსა,—შეგიყვარებენ ყველა ღმერთები,—ფრინველნი აღარ დაეცემიან მინდვრებსა; თუნდ ოქროც შექმნას ხელმან შენმან ანუ აგური ვეცხლისა,—არ ძალ-გვიძს ვსჭამოთ ლაპისლაზული,—ვინაიდგან პური უძვირფასესია, ვიდრე თვალ-მარგალიტი.

*X.* შენ გიგალობენ რითმითა ხელისათა,—და შთამომავლობანი შვილთა შენთანი იხარებენ შენთვის, შეგახსმენ ქებათა ქებასა;—ვინაიდან ბრჭე ხარ ღმერთისა სიმდიდრისა, რომელიც შეამკობს მიწასა, წარმატებითა განამტკიცებს ნავთა და გემთა, ასულდგმულებს ორსულ ქალთა გულსა, უყვარს განმრავლება საქონლისა.

*XI.* ოდეს აღსდეგი თავადთა ქალაქში,—გაძღა მდიდარი, ყოველი საგანი მკვიდრი და კარგი ღირსებისაა,—ყოველი ბალახი ეკუთვნის შვილთა შენთა.—მაგრამ არ მოიღებ მოწყალებას და არ აქმევ კაცთა?—ბედნიერება გარბის სახლებიდან, და მიწა შთაინთქმის სიბილწესა შინა?"[5]).

ასე უგალობდნენ ნილს ეგვიპტის მღვდლები. ნილი იყო მთელი ქვეყნის მაცოცხლებელი, წყარო ენერგიისა, რომლისაგანაც ეგვიპტელნი თავიანთ სასიცოცხლო ენერგიას იღებდნენ. **ნილი იყო ის გარეშე ძალა, რომელიც სწორედ საზღვრავდა ერთის მხრივ მთელ ეკონომიურ ცხოვრებას, „საწარმოო ძალთა" ხარისხსა და განვითარებას, და მეორე მხრით უდიდესი, უპირველესი ელემენტი, რომელმაც განსაზღვრა რელიგიოზური სისტემა ეგვიპტის ხალხისა, აგრეთვე მისი ცხოვრების ყველა გამოხატულებაზედ იქონია თავისი აუცილებელი გავლენა.**[6]) ცნობილია, როგორი ძალის იყვნენ ეგვიპტის რელიგიოზური კასტები, როგორი ხასიათი მისცეს ამ კასტებმა მთელ „ეკონომიურ სტრუქტურას" ეგვიპტის ხალხისას; და თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ სწორედ გარემოცულმა წრემ მისცა განსაზღვრული ხასიათი როგორც მის ეკონომიურ ცხოვრებას, ისე მის რელიგიოზურ სისტემას, რომელნიც აგრეთვე ერთი-ერთმანეთზედ მ.. დამ იჩენდენ გავლენას,—მოდი და იანგარიშე ყველა ამის შემდეგ უპირატესობა ერთი რომელიმე ფაქტორისა, ან აღიარე რომ ერთი რომელიმე ფაქტორია საფუძველი საზოგადოებისა და ყოველივე სხვა ზედ-ნაშენი,—მოდი და სთქვი რომ—ეგვიპტის სოციალური ცნობიერება განისაზღვრება მისი ეკონომიური სტრუქტურით, როდესაც თვით ეს სტრუქტურა ჯერ ერთი განისაზღვრება ნილით, ფიზიკური აგენტით,—მერე კიდევ რელიგიითაც, რომელიც აგრეთვე აღმოცენდა განსაკუთრებით ნილის ადიდებისა და დაკლების ფაქტზედ. ზემოხსენებული მარქსისტული ფორმულა აქ სრულიად არ უდგება, და თუ სხვა ფაქტორებსაც მივიღებთ მხედველობაში, მაშინ ყოვლად შეუძლებელი ხდება სწორი ანგარიში მათი „ინტერაქციისაც",—როგორც ამ ტერმინს ხერხიანად ხმარობს სოციოლოგი გიდდინგსი.

აიღეთ სხვა ქვეყნები და ხალხები—მაგალითად ინდოეთი, ჩინეთი, სადაც უკვე რთული პროცესსი ხდებოდა სოციალურ შენობის აგებისა. მათ რელიგიოზურ სისტემებშიდაც ვნახავთ საინტერესო პასსაჟებს, რომელიც გვიჩვენებს ნათლად, თუ როგორ არის განსაზღვრული ეს სისტემა აგრეთვე არა ეკონომიურ ფაქტორებით და როგორ მოქმედებს უკვე შედგენილი რელიგიოზური სისტემა მთელ ეკონომიურ სისტემაზედ. ინდოეთის კასტებიც კარგი მაგალითია ამ აზრის საილლიუსტრაციოდ.[7])

ბევრი მაგალითის მოყვანა შეგვეძლო იმის დასამტკიცებლად, თუ როგორ სიდიდეს წარმოადგენდა ორი ერის საერთო განსხვავებაში მათ რელიგიოზურ სისტემათა განსხვავება, განსხვავება რელიგიის გავლენისა ერთზედ და მეორეზედ. რომ შევადაროთ მაგალითად სა-

*) იხ. „ისარი" № 39.

1) ნიშნავს მზეს.

2) ხელოსნობის ღმერთი, (კალატოზების, ფეი-[illegible]).

3) ე. ი. ემზადება მიწების მოსარწყავად, იქცევა ყოვლისავე სიკეთის შემომქმედის ღმერთად.

4) ეგვიპტეში, თუ წყლის ადიდება ვერ იყო საკმარისი, ხშირად ჩხუბი მოსდიოდათ ხოლმე წყალზედ, როცა კი საკმარისი იყო, მაშინ მშვიდობიანად მუშაობდნენ.

5) Ç. Maspero: Histoire Ancienne des peuples de L'Orient classique,—p. p.—41—43.

6) იხილე აგრეთვე E. Reclus: L'Homme et la Terre, t. II: le Régime du Nil.

7) იხილე L. Metchnikof La Civilisation et les grands fleuves historiques.

ლოვანი, თავ. ოთარ დადეშქელიანი და აზნაური ტარას ახვლედიანი. ამათ უთხოვნიათ ნამესტნიკისათვის, მალე დაამტკიცებინოს თავად-აზნაურობის წოდებაში ლეჩხუმის თავად-აზნაურნი.

✦ **დამშეულთა სასარგებლოდ.** კავკასიის ნამესტნიკის განკარგულებით, თესლის სასყიდლად 41,280 მან. მიეცა ტფილისის მაზრის დამშეულ 24 სოფლის მცხოვრებს. სულ დამშეულია 2830 კომლი, ესე იგი 17,375 სული.

✦ **რევიზიის შედეგი.** ნამესტნიკის კანცელარიის განკარგულებით, რევიზია დაინიშნა გზათა ოლქის სამართველოს საქმეთა შესამოწმებლად. გამოძიება დასრულდა, რის შედეგად სამსახურიდან გადააყენეს ინჟენრები, ხმოსნად ნამყოფი რახიმ-ბეკ ახუნდოვი და დაღესტანში დისტანციის უფროსი იორდანოვი.

✦ **ანარქისტის სახელით მომქმედი.** უკვე აღვნიშნეთ, რომ 19 თებერვალს დააპატიმრეს ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელე გარონი, რომელმაც ორს სხვა „ჩინოვნიკთან" ერთად, პოლიციის გამოძიებით, მოისურვა სიროსკიპო სახლის პატრონის შიმაშევიჩის გაძარცვა ანარქისტების სახელით. რადგან გარონი საფრანგეთის ქვეშევრდომი აღმოჩნდა, ამიტომ საფრანგეთის კონსულმა კავკასიის უმაღლეს მთავრობას მისწერა, გვაცნობეთ ამ საქმის შესახები გამოძიებაო.

✦ **მკვლელთა ვერ აღმოჩენა.** ნ. ხიზანაშვილის მკვლელები პოლიციას ვერ აღმოუჩენია და ამიტომ საქმე ისპობა.

✦ 21 თებერვალს პოლიციის მე 5 ნაწილში აკიმოვის ქუჩაზე ტფილისის მცხოვრებელმა ივანე დობრუდაშვილმა ბებუთით მოჰკლა თავისი ცოლი დინაზინა. მკვლელი დააპატიმრეს.

## ქუთაისის ქრონიკა

✦ 7 და 8 მარტს სამოსამართლო პალატის სესსია განიხილავს რამდენსამე პოლიტიკურ საქმეს.

✦ მოგვყავს დაწვრილებით ცნობები ქართულ გიმნაზიის ფულის გატაცების ამბავისა: 1 თებერვალს ხაადგილ მამულო ბანკში მოსულა გიმნაზიის ხაზინადარი ფულის მისაღებად. აქ მიუღია 3111 მანეთის ჩეკი და აზოვ-დონის ბანკში წასულა დასახურდავებლად. ბანკში პიროვნების შემოწმება მოუთხოვნიათ და ამის გამო ტელეფონით გაუმართავთ ლაპარაკი საადგილმამულო ბანკთან; ბოლოს ფული მიუღია და ჩამჯდარა ფაეტონში მსახურთან ერთად. ლევაშოვის ქუჩაზე „ერთობის" ქუჩის შესახვევთან დაჰხვედრია 5 ყაბალახში გახვეული და შეიარაღებული კაცი; გაუჩერებიათ ეტლი და რევოლვერებით დამუქრებიან. ხაზინადარს უბის ჯიბიდან ამოუღია ერთი დასტა და გადაუცია; დამხვდერებს ეს არ უკმარებიათ და თითონ ამოუცლიათ შარვლის ჯიბიდან ორი დასტა ფული და წასულან. ეს ამბავი უცებ გავრცელდა ქალაქში. თუმცა ამ დღეს სწავლა არ იყო, მაგრამ პატარა ხანს უკან შეიკრიბნენ თითქმის ყველა მასწავლებლები და მოსწავლენი. ავაზაკების კვალს ვერ მიაგნეს. მოსწავლენი მეტად აღელვებულნი არიან ამ საქმით.

✦ გუბერნატორს უცნობებია სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებისავის, რომ როცა ფული გაქვთ მისაღები, მაცნობეთ და დარაჯებს მოგცემთო.

✦ ცნობილი სტრაჟნიკი ქარქაძე, რომელმაც არა ერთხელ ისახელა თავი ხალხის დარბევასა და ძარცვაში, სამსახურიდან დაუთხოვნიათ და ეხლა ყველას ეხვეწება, ჩემ ძველ ცოდვებს ნუ მომიკითხავთ და სიცოცხლეს ნუ გამომასალმებთო.

✦ ქალაქში ხმა დადის, ვითომ ქუთაისის გუბერნატორი იაზიკოვი სამსახურს თავს ანებებს და იმის მაგივრად ქუთაისის გუბერნატორად დანიშნავენ პოლკოვნიკ ტოლმაჩევს, რომელიც ამ ჟამად ოზურგეთისა და სენაკის მაზრებს განაგებს გენერალ-გუბერნატორის უფლებით.

# პრესსა

„კავკ. ჟიზნ"-ის გუშინდელ №-ში დაბეჭდილია უცნაური კორესპონდენცია მოსკოვიდან,—უცნაური იმით, რომ ავტორი სრულიად უადგილო-ალაგას და უსაფუძვლოდ ეხება ს.-ფედერალისტების პარტიას. საქმე აი რაში არის: მოსკოველ ეგრედ წოდებულ პროფესორს, ბ-ნ ხახანაშვილს, საიდუმლო პოლიციის მინდობილობით გადაუთარგმნია ქართულიდან ერთ-ერთი არა ლეგალური ჟურნალი და ქართველ პოლიტიკურ ტუსაღთა კერძო ბარათები. მოსკოვის ქართველ სტუდენტებს გაუგიათ ეს ამბავი, გამოუძიებიათ და რაკი დარწმუნებულან ხმების სიმართლეში, სასტიკათ დაუგმიათ ბ-ნ ხახანაშვილის საქციელი...

კარგადაც უნებებიათ, რადგან პროფესორის საქციელი მართლა რომ საზიზღარია!.. მაგრამ, ს.-ფედერალისტები აქ რა შუაში? კორესპონდენტი სიხარულით ცას ეწევა და გაიძახის: აი ნახეთ, როგორი ადამიანი წამოაყენეს შარშან ს.-ფედერალისტებმა სათათბიროს წევრის კანდიდატადაო!..

რა არის ეს—უცოდინარობა და შეცდომა თუ განზრახ შეთითხნილი ცილის წამება? ჩვენ ვფიქრობთ, რომ უკანასკნელი უფრო უნდა იყოს და აი რატომ მოსკოველ ქართველ სტუდენტებმა (ვგონებთ, „კავკ. ჟ."-სთვის ეს კორესპონდენცია ერთ ერთ სტუდენტს უნდა მოეწეროს) კარგად უნდა იცოდნენ, რომ ხახანაშვილს საერთო არა აქვს-რა ს.-ფედერალისტების პარტიასთან. სულ რამდენისამე თვის წინად მან ნათლად დაამტკიცა ეს თავის საუცხოვო წერილით „რუსსკ. ვედომ."-ში, რისთვისაც „მეგობარმა" მაშინ „ხარაზობაც" უკიჟინა კრილოვის იგავისა არ იყოს. ახლად გამოსულ წიგნში ქართულ ლიტერატურის შესახებ მე-XIX-ე საუკუნეში ბ-ნი ხახანაშვილი დიდის აღტაცებით და დაწვრილებით იხილავს ჩვენი ს.-დემოკრატების ლიტერატურასა და მოღვაწეობას; ხოლო ს.-ც.-ფედერალისტებზე კრინტიც არა აქვს დაძრული. ეს გარემოება ისე თვალსაჩინოა და გასაკვირველიც, რომ ბევრი რაღაც „პირადის მტრობით" ხსნის ხახანაშვილის ასეთს „გულმავიწყობას": მტრებზედაც კი იტყვიან ორიოდე სიტყვას, ბ. ხახანაშვილმა კი უყურადღებოდ დასტოვა მთელი მიმართულება, მისი ლიტერატურა... რა უნდა ჰქონდეს პარტიასთან საერთო ამ პირს? ეს ერთი. მეორეც: ყველამ იცის, რომ ხახანაშვილი „ქართველ დემოკრატებმა" წამოაყენეს თავის კანდიდატად და მათთან ს.-ფედერალისტებს მხოლოდ შეთანხმება ჰქონდათ შარშანდელს არჩევნებზე; ამ შეთანხმების ძალით ს.-ფედერალისტები მხარს უჭერდნენ ხახანაშვილს სწორედ ისე, როგორც ს.-დემოკრატებმა დამატებით არჩევნებზე მხარი დაუჭირეს კადეტების კანდიდატს ბ-ნს აივაზოვს, რომლის ღირსება-ნაკლულევანებების განხილვაში არც შესულან და ვერც შევიდოდნენ. ესეც რომ არ იყოს, ვკითხოთ ერთი ბ. კორესპონდენტს: საიდან უნდა სცოდნოდათ შარშან ს.-ფედერალისტებს ან ქართველ დემოკრატებს ხახანაშვილის „საიდუმლო საქმეები", რომელნიც მხოლოდ ეხლა გამომჟღავნდა? აქამდის ყველანი ვიცნობდით ბ-ნ ხახანაშვილს, როგორც ქართულ მწერლობის მოყვარულს, როგორც ლიბერალ-პროფესორს, რომლის ნაწერები იბეჭდებოდა ყველა პროგრესიულ ჟურნალ-გაზეთებში და მათ შორის ს.-დემოკრატიულშიაც.

ეს გარემოება და მოსაზრებანი გვაიძულებენ ვთქვათ, რომ „კავკ. ჟიზნ"-ის კორრესპონდენცია არა კეთილ-სინიდისიერია და განზრახ შეთითხნილი ცილისწამებაა ს.-ფედერალისტების წინააღმდეგ.

* *
*

იმავე გაზეთში დაბეჭდილია ტექსტი იმ დეპეშისა, რომლით ადგილობრივ გაზეთებს მიულოცნიათ სახ. სათათბიროს თავმჯდომარისათვის სათათბიროს გახსნა. „კავკ. ჟ." ამბობს, სხვათა შორის, რომ ამ დეპეშაზე ჩვენც გვაქვს ხელი მოწერილი. ამის შესახებ საჭიროდ ვრაცხთ შემდეგი აღვნიშნოთ: ჩვენს რედაქციას მოუვიდა „ტიფ. ლისტ."-ის რედაქციისაგან მისალოცი დეპეშის **პროექტი** და ამასთან მოწოდება კრებაზე ამ პროექტის განსახილველად. რედაქციაში ხელი მოაწერეს ამ მოწოდების მიღებაზე და სხვა არაფერზე. მაგრამ ჩვენ რედაქციიდან კრებაზე არავინ არ წავიდა, იმიტომ რომ შეუძლებლად ვცანით **ყველა** გაზეთებიდან **საერთო** დეპეშის გაგზავნა.

* *
*

ქართველ სოციალ-დემოკრატების ლოგიკის და გონიერების იმედი ჩვენ არასოდეს არა გვქონია, მათს ლოგიკას და გონიერებას ჩვენ ყოველთვის დიდი ეჭვის თვალით უცქეროდით, მაგრამ ის კი არ გვეგონა, რომ თვით ეს სოციალ-დემოკრატები ეცდებოდნენ, რაც შეიძლება, ცხადად და ნათლად გამოფინონ თავისი ნაკლულევანებანი. მართლა და, რას წარმოადგენს, თუ არ უკუღმართის ქართულ სოციალ-დემოკრატიულ აზროვნების გამოფენას, ის შენიშვნა, რომელიც გაზეთს „ჩვენს ცხოვრებაშია" (№4) მოთავსებული „ისრის" 20 თებერვლის მეთაურ წერილის გამო.

„ისრის" წერილში ის მარტივი აზრია გატარებული, რომ სათათბიროში ორი მებრძოლი მოწინააღმდეგე შეხვდება ერთმანეთს, რომ ამ მოწინააღმდეგეთაგან ერთმა მხარემ (ხალხმა) ოპოზიციონერების არჩევით ნათლად გამოსთქვა თავისი კრედო, თავისი იდეალი და მისწრაფება და რომ ის ნაყოფი, რომელსაც მოიტანს სათათბიროს გახსნა, იმაზეა დამოკიდებული, თუ რას იტყვის მეორე მხარე (მმართველობა). ეს აზრი თავის თავად ძალიან ადვილი [illegible] და ეხლანდელს პირობებში [illegible] ლიც, მაგრამ სოციალ-დემოკრატიულ „ჩვენს ცხოვრებას" ასეთი აზრების გამოთქმა პოლიტიკურ [illegible] მოსჩვენებია და [illegible] დონე აქვს. ეს აზრები „ჩვენს ცხოვრებას" რეაქციასთან მორიგების ქადაგება ჰგონია. რა ვუყოთ? სოციალ-დემოკრატიული აზროვნება და მსჯელობა ასეთია, იმას ყველაფერი ყირამალა ეჩვენება.

„ჩვენს ცხოვრებას" არ მოსწონს, რომ ჩვენ ბრძოლის მიზნად მშვიდობიანობის დამყარება მიგვაჩნია და არა თვით სამოქალაქო ომი. რა ვუყოთ! ასეთია „ბოლშევიკური" ყირამალობა, იმას სამოქალაქო ომი თავის თავად სასურველ მოვლენად მიაჩნია, ხოლო მშვიდობიანობა კი იმ ნიადაგად, რომელიც უნდა აიწეწდაიწეწოს და ბრძოლის სისხლში გაითქვიფოს. აყირავებულ „ბოლშევიკურ" აზრს და გრძნობას რა ენაღვლება, რომ სამოქალაქო ომი აუარებელ დამშეულ ხალხს, აუარებელს ნაწამებს ადამიანებს და მწუხარების მთელს ზღვას იგულისხმებს. ვინც ამ უსიამოვნო გარემოებას ანგარიშს უწევს, ის „ბოლშევიკურის" მსოფლმხედველობით პოლიტიკური კრეტინია.

„ჩვენს ცხოვრებას" არც ის მოსწონს, რომ სათათბიროს ჩვენმა გაზეთმა პარლამენტი უწოდა. რატომაო, იკითხავთ. რატომ და იმიტომ, რომ მას არაფერი წარმოდგენა არა აქვს პარლამენტზე, ამიტომ რომ არ იცის და არ ესმის, რა არის პარლამენტი. მაგრამ ან საიდან რა ეცოდინება ამ გაზეთს, როცა იმის თანამშრომლებს უბრალო საგაზეთო წერილის აზრიც კი ვერ გაუგიათ. შეადარეთ, თუ არ გჯერათ, „ისრის" წერილი „ჩვენი ცხოვრების" შენიშვნას და ჰნახავთ, რომ სადაც ჩვენ ხალხზე ვლაპარაკობთ, იქ იმას ჰგონია, მმართველობაზეა ლაპარაკიო და პირიქით, სადაც მმართველობაზე ვამბობთ, ახლა ამ მეორე მხრის ჯერიაო, იქ „ჩვენს ცხოვრებას" ჰგონია, ხალხზეა ლაპარაკიო. ყირამალა აზროვნებას ყველაფერი ყირამალა ეჩვენება ნათქვამიც, ნაწერიც და ნამოქმედარიც.

### აფრასიონ მერკვილაძის მოკვლა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

დეპეშით უკვე გაცნობეთ, რომ სოფ. სვერში (საჩხერეს მახლობლად) მოჰკლეს აფრასიონ მერკვილაძე და იმისი ორი ამხანაგი. მერკვილაძის საჩხერის მიდა-

---

ბერძნეთი და ეგვიპტე, სხვა განსხვავებათა გარდა, რელიგიის სხვა და სხვა გვარმა გავლენამ ამ ორ ერზედ დიდი გავლენა იქონია ერთისა და მეორის საერთო განვითარებაზედ, განსაზღვრა მრავალი ფორმანი მათი თავისებური სოციალური შემოქმედებისა. რელიგიას განსაზღვრულ პირობებში უდიდესი გავლენა აქვს აზროვნებაზედ, ფილოსოფიაზედ და მეცნიერებაზედ. თავდაპირველად მეცნიერება მაგალითად პირდაპირ შეკავშირებულია მაგიასთან, და მხოლოდ ხანგრძლივი განვითარების შემდეგ განიყოფიან ხოლმე ერთმანეთისაგან ეს ორი დარგი ადამიანის აზროვნებისა,—ერთი მისი განმასპეკტაკებელი, მეორე ადამიანის აზრის დამმონებელი ისტორიის ჟამთა ვითარებაში,—საშინელი ძალა, წინააღმდეგი პროგრესისა. ელიზე რეკლიუ საბერძნეთის უდიდეს განვითარებას, მაგალითად, სხვათა შორის, იმასაც აწერს, რომ საბერძნეთი თავის დღეში არ ყოფილა რელიგიის ისეთ გავლენის ქვეშ, როგორც ეგვიპტე, და ამითი აიხსნება საბერძნეთის საერო ბრწყინვალე ფილოსოფიისა და მეცნიერების განვითარება, რომელმაც გაცილებით გაუსწრო წინ „საწარმოო ძალთა" განვითარებას. ესენი თავის დღეში ვერ განსაზღვრავენ საბერძნეთის აზროვნებასა, მათ ყოველ მხრივ ცნობიერებას!

ბოლოს რელიგია ჰქმნის ათას გვარ ჩვეულებათა, ტრადიციათა, რომელნიც ეთიკურ ცნებათა და ტრადიციებთან ერთად ისეთ ძალას წარმოადგენენ, რომ უდიდესი ენერგიით ეზიდებიან მთელ საზოგადოებრივ ცხოვრების ამა თუ იმ მიმართულებისაკენ. მაგრამ,—რაც აქ უფრო საყურადღებოა, მრავალნი ამა ტრადიციათაგანი არა ჰქრებიან მაშინაცკი, როცა სრულიად იცვლება საზოგადოების ეკონომიური სტრუქტურა. მარქსის ფორმულით შემდეგი პროცესსი ხდება: იცვლება ეკონომიური შენობა საზოგადოებისა,—იცვლება ყველა „იდეოლოგიები", მთელი ცნობიერება საზოგადოებისა,—მაშასადამე ტრადიციებიც, ვიტყვით ჩვენ, რადგან საზოგადოებრივი ცნობიერების შემადგენელ ელემენტებში ტრადიციებიც შედის. ფაქტები კი თითქმის **ყოველთვის** წინააღმდეგს ამტკიცებენ,—რაიცა იმასაც ამტკიცებს, რომ ეს ტრადიციებიც დამოუკიდებელი ძალაა, ათასნაირ სხვა ძალთა მიერ განსაზღვრული, სხვათა შორის რელიგიისაგან,—და სხვა.

ბოლოს, უკვე განვითარებულ ცივილიზაციათა დროს, სხვა მაგალითები რომ არ მოვიყვანოთ უძველეს ხალხთა ისტორიიდან, ავიღოთ ერთი მაგალითი რელიგიაზედ მრავალფეროვან ფაქტორთა გავლენისა, მაგალითი რელიგიის შეგუებისა სოციალურ წრესთან და მის მიერ მოპოვებული ძალა, რომელიც ეხლაც დიდ როლს თამაშობს მთელი თანამედროვე კულტურული კაცობრიობის ბედ-იღბლის გადაწყვეტაში.— ეს მაგალითი არის ქრისტიანობა.

ქრისტიანობა არის ერთი ფორმა იუდაიზმისა. იუდაიზმის ერთი დამახასიათებელი მხარე კი არის—ერთი ღმერთის თაყვანის ცემა; ეს ხასიათი იუდაიზმისა კი, როგორც ზევით ვსთქვით, ელიზე რეკლიუსა და ვაინვუდ რიდის აზრით, არაბეთში დაიბადა, სადაც ტიტველი ბუნების ერთფეროვნებამ დაჰბადა იდეა მონოთეიზმისა. მაშასადამე ძირი იუდაიზმისა გეოგრაფიული წრის გავლენაში იმყოფება.—შემდეგ იუდაიზმი, ახალ ქვეყანაში, ახალი გეოგრაფიული წრის ზედგავლენით, ახალი წარმოების წესით, ახალ ხალხთა ზნე-ჩვეულებათა და სარწმუნოებათა ზეგავლენით შეიცვალა და მიიღო ის ფორმა, რომელიც ჰქონდა ურიათა სარწმუნოებას ქრისტეს დაბადების წინ პირველ საუკუნოებში. მაშასადამე მის განვითარებაში მრავალი ფაქტორს მიუღია მონაწილეობა,—განსაკუთრებით ფინიკიელებისა, სირიელებისა და ასსირო-ბაბილონეთის რელიგიათა და რწმენათა. ამავე საუკუნოებში და შემდეგ საშინელი იყო გავლენა რომის დესპოტიზმისა ურიასტანის ქვეყანაზედ. რომის იმპერია იშლებოდა მონობისა, განუწყვეტელი ომებისა და ბარბაროსთა ძალთაგან. ინგლისელი მწერალი კოტტერ-მორისონი ამნაირად ახასიათებს ქრისტიანობის წარმოშობის დროის ეპოქას: ეს ეპოქა იყო უსამართლობისა, სისასტიკისა, ძალ-მომრეობისა, მას ადამიანი ისე შეეჩვია, რომ იგი აღარც კი სთვლიდა უცნაურად ამ საშინელებათა. პავლე მოციქულის ღმერთი კი სწორედ იმას წარმოადგენდა, რაც ნამდვილად არსებობდა ამ დროს,—იგი იყო დიოკლეტიანი ანუ კონსტანტინე,[9]) მიწიერი ქვეყანა გამოხატულება იყო მისთვის საიქიოსი, სადაც ერთი ღმერთი მეფობდა შეუზღუდავად. ამიტომაც პავლე მოციქულის სიტყვის თესლი კარგ ნიადაგზედ დაეცა და გაანაყოფიერა იგი, რომ ქრისტიანობა მსოფლიო რელიგიად გამხდარიყო.—მაშასადამე აქ ქრისტიანობამ განიცადა გავლენა ყველა იმ მოვლენათა, რომელიც ახასიათებდა ამ დროის რომის ცხოვრებას, შექმნილს ათასგვარ პირობათაგან,—და თვით შეიცვალა, შეეგუა ამ პირობებს.—მაგრამ იმავე დროს იგი შექმნა საშინელ ძალად, რომელმაც სხვა ძალებთან ერთად დაამხო რომის თავისებური ეპოქა, და შემდეგ შეიპყრო მთელი ევროპის გონება. შემდეგ საბერძნეთის ფილოსოფიის ზეგავლენით ქრისტიანობა შეიცვალა, იგი შეიცვალა აგრეთვე ევროპაში ახალი წყობილების გავლენის ქვეშ, და შემდეგ წმინდა თომასა და წმინდა ავგუსტინის დოქტრინებში ისეთი ფორმა მიიღო, რომელთაც ეკონომიურ და პოლიტიკურ დესპოტიზმზედ უარესი დესპოტიზმის ლოდი დაადვა გულზედ მთელი ევროპის აზროვნებას.—მაშასადამე თანახმად მისი ტრანსფორმაციისა სხვა ფაქტორთა გავლენით ხდებოდა აგრეთვე პროცესსი მისი ძალის ზრდისა.—ამ ძალამ შექმნა მრავალი პრივილეგიები სამღვდელოებისა და ეკონომიურად გაბატონა იგი, ეს ძალა აგრეთვე უდიდესი პოლიტიკური ძალა იყო, რომელიც ემყარებოდა ეკლესიის მორჩილ შვილთა ბნელ ძალაზედ, ეს ძალა იყო აგრეთვე უდიდესი ძალა გონების დამაბნელებელი, რომლის წინააღმდეგ ბრძოლაშიდაც დაიღუპა მრავალი გენიოსური შემოქმედება და მრავალი ნაყოფი ადამიანის თავისუფალი აზროვნებისა.—შედეგი ამ რელიგიის ეკონომიური ბატონობისა იყო ეკონომიური პრივილეგიები ეკლესიისა, შედეგი მისი პოლიტიკური ბატონობისა,—მრავალი ომები რელიგიოზური ხასიათისა,—რამდენიმედ ჯვაროსანთა ომები, ალბიგოელების ამოწყვეტა, ბართლომეს ღამე და სხვანი, რომელნიც მიმართულ იყვნენ ქრისტიანულ კათოლიციზმის მოწინააღმდეგეთა მოსასპობად; შედეგი მისი გონებრივი ბატონობისა იყო ბრძოლა მეცნიერების წინააღმდეგ, რომელმაც რამოდენიმე საუკუნით უკან დასწია ევროპის აზროვნება.—საუკეთესო გამოხატულება მისი სიმყრალისა კი იყო ინკვიზიცია, რომელმაც ასიათასობით ცოცხალი ადამიანი ცეცხლის ალს მისცა, და რომელსაც ვერც ერთი სოციოლოგი ვერ ახსნის ვერავითარი „ეკონომიური განწყობილებითა" და „საწარმოო ძალთა განვითარებით", თვინიერ რელიგიოზური ფანატიზმისა, რომლის ბრჭყალებშიაც სულს ლევდა შებოჭვილი აზრი ადამიანისა. მაგალითად ისპანიის დაქვეითება რელიგიის ბატონობას უნდა მივაწეროთ ძლიერ ვრცლად, რადგან სხვა რაციონალური ახსნა ამ მოვლენისა არ არის.

როდესაც კი მისგანვე გაძლიერებულმა მეფეთა ბატონობამ სძლია ეკლესიის ბატონობა, რელიგია ისევ ეგუება ახალ მოვლენას, იგი კავშირს ადგენს მეფის დესპოტიზმთან და ისევ იკრებს ძველ ძალას, მხოლოდ სხვა ფორმით, რომელიც დღეს მონარქიათა უუმკვიდრესი ბურჯია და რესპუბლიკებშიაც კი სცდილობს არ დაჰკარგოს ერთხელვე აღმართული ბატონობის ტახტი.—საფრანგეთის ბრძოლა ეკლესიასთან ამის ცოცხალი მაგალითია.

დღეს, მაგალითად, ევროპის საზოგადოებათა განვითარების პროცესსში მომუშავე ძალთაგან გამოაკელით რელიგია, და მაშინ ნათლად დაინახავთ, თუ როგორ გაადვილდება იმ პრობლემების გადაწყვეტა, რომელიც ისე გაძნელებია მთელი ევროპის ხალხებს, მაშინ დაინახავთ თუ როგორი დამოუკიდებელი ძალა ჰქონია მას.

საზოგადოდ კი რომ ვსთქვათ, ჩვენი დასკვნა ისეთია, რომ წარმოშობიდამ დაწყებული, რელიგია, როგორც აგრეთვე სხვა ძალანი, ერთსა და იგივე დროს და პერიოდიულადაც განიცდის საზოგადოებაში ყოველ სხვა ფაქტორთა გავლენის და შეგუების პროცესს, მაგრამ აგრეთვე თვით წარმოადგენს საშინელ ძალას, რომლის გამოკლება საერთო ძალთა კომპლექსიდამ სულ სხვანაირ მიმართულებას მისცემდა საზოგადოების მსვლელობას. რელიგია ერთი ნაწილია საზოგადოებაში მომუშავე ძალთა, როგორც ეკონომიური ძალაა აგრეთვე ერთი ნაწილი, და როგორც პირველი ვერ განსაზღვრავს სრულიად საზოგადოებრივ „ცნობიერებას", ისე მეორე, ე. ი. ეკონომიური ძალა, საწარმოო ძალთა" მოქმედება, „ეკონომიური განწყობილებანი", როგორც ჰგონიათ მარქსისტებს.

**Bâton.**

(შემდეგი იქნება)

[9]) იხ. Ç. Cotter Morison, the service of Man, 25.

მოებში ყოფნა შეუტყვია პოლიციას და მახარაძე თავის სტრაჟნიკებით და ყაზახებით მაშინვე წასულა იქითკენ. ბინა ქიათურაში დაუდვია და აქიდან უთვალთვალებდა თურმე. აღმოჩენა მერკვილაძის ბინისა, ასე მომხდარა: როგორც მოსულები მოგვითხრობენ, სვერში დაბანაკებულ მერკვილაძეს ქიათურაში გაუგზავნია რამდენიმე კაცი სურსათის სასყიდლად. ეს მახარაძის შეუმჩნევლად არ დარჩენილა. გამოგზავნილი კაცები შეუპყრიათ და ძალის დატანებით უთქმევინებიათ, სად იყო მერკვილაძე. გაუგია თუ არა ეს მახარაძეს, სტრაჟნიკებითა და ყაზახებით გამგზავრებულა ს. სვერისაკენ. მისულა თუ არა იქ, მაშინვე გარს შემორტყმიან სახლს და თოფები დაუცლიათ. მერკვილაძეს და იმის ამხანაგებს უკადიათ თავის შველა, გამოცვივნულან სახლიდან და გაქცევა დაუპირებიათ. ამ დროს თოფები დაუხლიათ და სამი კაცი—მერკვილაძე, ბოჭორიშვილი და გაჩეჩილაძე უქვი უსულოდ დაცემულა, ხოლო მეოთხე მათი ამხანაგი ძმამედ დაჭრილა. ასე გაათავა თავისი ცხოვრება აფრასიონ მერკვილაძემ და სამაგიეროდ ბოქაული მახარაძე უთუოდ კმაყოფილია თავის თავისა, რადგან თავისი მისია შეასრულა და ეჭვი არ არის, უფროსები შესაფერად დააფასებენ იმის ბოლქმედებას.

## სახელმწიფო ბიუჯეტი
(ვ. დ. ს)
(დასასრული)

1907 წლის სახ გასავლის აღრიცხვის შედგენის დროს მიღებულ იქნა ყოველი ღონე ხარჯების შესასრულებლად. მიუხედავად ამისა წინა წელთან შედარებით 1907 წ-ის გასავალი აღრიცხულია 140.399.615 მანეთით მეტად, ხოლო საგანგებო გასავალი შემცირებულია 179.687.518 მანეთით. ჩვეულებრივ შემოსავლად ნავარაუდევია 147.104.770 მანეთით მეტი, ვიდრე 1906 წელს იყო.

სხვა და სხვა უწყებათაგან საერო განათლების სამინისტროს ბიუჯეტი 1906 წელთან შედარებით გაძლიერებულია 11.490.000 მანეთით, აქედან 5.500.000 მან. გადიდებულია საერთო პირველდაწყებით სწავლების დაწესების საქმის დასაწყებად. მიწათ-მოქმედების სამინისტროს ბიუჯეტი გადიდებულია 1.0370.000 მანეთით, უმთავრესად გლეხთა გადასახლ-გადმოსახლების საქმისათვის. სამხედრო სამინისტროს ბიუჯეტი გაძლიერებულია 12.603.000 მანეთით, უმთავრესად ჯარის-კაცთა ყოფა ცხოვრების გასაუმჯობესებლად. 1907 წლის ბიუჯეტის პროექტში შეტანილია 380.724.000 მანეთი, რომელიც ხაზინამ უნდა გადაიხადოს სესხების პროცენტებში, 1906 წელთან შედარებით 45.610.000 მანეთით მეტი. საგანგებო ბიუჯეტით მთავრობა თხოულობს 124.305.975 მანეთს იაპონიასთან ომით გამოწვეულ ხარჯების დასაფარავად; თხოულობს აგრეთვე დაწყებულ რკინის გზების გაყვანის დასამთავრებლად 48.613.821 მანეთს და მოუსავლიანობით დაზარალებულ მეურნეთა შესაწევნად 61.157.000 მანეთს. სულ საგანგებო ხარჯათ ნავარაუდევია 298.554.701 მანეთი, წინა წელთან შედარებით თითქმის 180 მილიონ მანეთით ნაკლები! ამ საგანგებო ხარჯების დასაფარავად მთავრობა მოელის მხოლოდ 111.910.795 მანეთს შემოსავალს; დააკლდება, მაშასადამე, ხაზინას 186.643.906 მანეთი, რომლის გამოძებნა განზრახულია სხვა და სხვა საკრედიტო ოპერაციების მოხდენით.

ჩვეულებრივი შემოსავალი 1907 წ. ბიუჯეტით მოსალოდნელია 2.174.936.544 მანეთი, 1906 წელთან შედარებით 147.104.770 მანეთით მეტი. ახალი გადასახადი არ არის განზრახული, ძველებსაც არაფერი ემატება. ჩვეულებრივი გასავალი 1907 წელს მოსალოდნელია 2.173.130.171 მანათი, 1906 წელთან შედარებით 140 მილიონ მანეთით მეტი.

საგანგებო გასავალი ბიუჯეტით ნავარაუდევია 1907 წლისათვის 298.554.701 მანეთი, წინა წელთან შედარებით 179.687.518 მანეთით ნაკლები. საერთო ჯამი ჩვეულებრივისა და საგანგებო გადასახადებისა 1907 წლისთვის ნავარაუდევია 2.471.684.872 მანეთი, წინა წელთან შედარებით 39.287.903 მანეთით ნაკლები.

# პროვინციის ცხოვრება

**ქუთაისის ც ხე.** ქუთაისის ციხეში ტუსაღების მდგომარეობა აუტანელია, რადგან ადმინისტრაცია დღითი დღე აძლიერებს რეპრესიებს. ციხეში 250 კაცის ადგილია. ზის კი 600—650-მდე. ადგილების უქონლობის გამო იატაკზე წვრიან ტუსაღები. თითო კამერაში 60—70 კაცამდეა. ცუდის ჰაერისა და სიშმშილის გამო გაჩნდა სხვა და სხვა გადამდები სენი, მაგ., სათფლე, მუცლის ტკივილი და სხვა ამ გვარი, რომელმაც ამ მოკლე ხანში რამდენიმე კაცი გამოასალმა წუთი სოფელს. თუმცა აქ საავადმყოფო არსებობს, მაგრამ იქ რაც უნდა ჯანმთელი ადამიანი მიიყვანო, მეორე დღეს თავს ძალიან დასუსტებულად იგრძნობს, რადგან საავადმყოფო ძალიან ნოტიო და ჭუჭყიანია. აქაურ საავადმყოფოს განაგებს ექიმი ტერტეროვი, რომელიც დიდ ეკონომიას ეწევა. ავთაქმი იქნება მეხვდეხისას, იოდს და სხვა ამისთანებს. დანარჩენზე პასუხად გვეუბნებიან, რომ ფული არ აქვს ციხის კომიტეტს ხოლო ბევრია დატყვევებულიო. აქ ორი ფე შალი მსახურებს, მაგრამ არც ისინი იქცევიან კარგად. გარდა ამ ერთის თვითმპყრობელობისა, ციხეში მეორე თვითმპყრობელობაც არის გაბატონებული. ისინი არიან ინტელიგენტი სოც.-დემოკრატები. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მოწინავე ინტელიგენცია მუშა ხალხის დახმარების მაგიერად, თვითონ მუშა ხალხისაგან თხოულობს დახმარებას, მასზედ ბატონობასაც ეწევა; აი რამდენიმე მაგალითი სანიმუშოდ: ციხე როგორც ვთქვი სავსეა ტუსაღებით, ნესტიან იატაკზე წვრიან, თითქმის უჰაერობად; ერთის კაცის ადგილზე ორი-სამი კაცი წევს. ამ ვაჟბატონებს კი ჩაგდებული აქვთ ხელში ეგრედ წოდებული „სეკრეტები“ და რამდენადაც ციხეს შეეფერება, არხეინად სცხოვრობენ. ამ ვაჟბატონებს ვთხოვეთ, „სეკრეტში“ ერთი ადგილი დაგვითმეთ ავადმყოფისთვის, მაგრამ არ შეიწყნარეს ჩვენი თხოვნა. იძულებულნი გავხდით ავადმყოფი დაგვეტოვებინა ისევ ძველ ადგილზე, 60—70 კაცში. რასაკვირველია, „სეკრეტები“ ხელში ჩაიგდეს უფროსის წყალობით, და ეხლა კერძო საკუთრებად მიაჩნიათ. აბა ერთი დაგვისახელონ ბ-მა ინტელიგენტებმა, ერთი საწყალი გლეხი მოიპოვება რომელსაც „სეკრეტში“.

ციხეში არის საზოგადო სალაროც, რომელიც ჩაუგდიათ ხელში ბ-ნ ინტელიგენტებს და როგორც უნდათ, ისე განაგებენ. რასაკვირველია, ამ სალაროს გასავალ შემოსავალი არავის იცის, გარდა რამდენიმე ინტელიგენტისა. თუმცა არსებობს სარევიზიო კომისია, მაგრამ ისიც ზევიდან არის არჩეული და მასთან იმავე ინტელიგენციისაგან. არსებობს აგრეთვე საფინანსო კომისია, რომელიც იმავე პირებისაგან შესდგება. მათი მოვალეობაა გაჭირვებულ ტუსაღებს დახმარება აღმოუჩინონ, როგორც მაგალითად, ავადმყოფებს, ისე გადასახლებულებს და სხვებს, მაგრამ აქაც ბედმა გვიმტყუნა. იყო მაგალითი, ავადმყოფს, რომელიც სასამართლოში უნდა წაეყვანათ და ფეხით წასვლა კი არ შეეძლო, ეტლით წასვლის ნება დართეს, მაგრამ საუბედუროდ, ფული არ აღმოაჩნდა, მაგრამ ჩვენ ბატონებმა ამაზე ყური არ გამოუგდეს, სანამ დ. ქებაძემ კერძოდ არ აღმოუჩინა ავადმყოფს დახმარება.

მეორე მაგალითი. ბიძაშვილებს ხურციძეებს სამხედრო-საველე სასამართლოს განაჩენით დახვრეტა ჰქონდა გადაწყვეტილი. აუცილებელ საჭიროებას შეადგენდა დედამის გაგზავნა ნამესტნიკთან, რომ სიცოცხლე ეჩუქებინა. მივმართეთ ამის შესახებ საფინანსო კომისიას. მაგრამ ამაოდ, დახმარება არსაიდან იყო. აიძახოდნენ, ფული არ გვაქვსო არ მოგვცეს ფული, სანამ ესევ დ. ქებაძემ არ მიიღო თავის თავზე და არ აღუთქვა დახარჯულ ფულის დაბრუნება. შემდეგ მივიღეთ ფული და გავგზავნეთ დედამისი, რომელიც დაგვიჯდა 4—5 მანეთად. ამ 4—5 მანეთმა დაუბრუნა ორ კაცს სიცოცხლე: დახვრეტა სამუდამო კატორღად შეუცვალეს.

### თეატრი და ხელოვნება

**ქუთაისი.** 18 თებერვალს ქუთაისის დრამატიულ დასის ამხანაგობამ წარმოადგინა სამ მოქმედებიანი ისტორიული კომედია ფონ-შენიტენისა „ოქროს ევა“, თარგმანი წერეთლისა. წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდა ტასო აბაშიძე, რომელიც აღფრთოვანებით დასმა საგასტროლოდ მოიწვია. კომედიის შემდეგ და აბაშიძემ ითამაშა ვოდევილში „უბედური დებიუტი“. საზოგადოებამ დიდის აღტაცებით მიიღო მსახიობი. საუბედუროდ, წარმოდგენამ ვერ ჩაიარა ისე, როგორც მოსალოდნელი იყო. არტისტებს ეტყობოდათ მოუმზადებლობა და როლების უცოდინარობა. უადგილოდ გამოსვლა სცენაზედ, სხვის რეპლიკის გამეორება—ყველა ეს ძალიან უშლიდა ანსამბლს. თვით გასტროლიორი სკდილობდა გაეცოცხლებინა წარმოდგენა, მაგრამ ვერას გახდა. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ სცენებს ეტყობოდა ცოცხალი ნიშან-წყალი. ბ-ნმა ბალანჩივაძემ მოხუც რაინდ ფონ-შვეიცენის როლში ბევრი აცინა ხალხი. არა უჭირდარა ბ-ნ გვარამეს, რომ როლი რიგიანად სცოდნოდა სრულებით არ მოგვეწონა ბარბარეს როლის აღმსრულებელი. მსახიობი მხოლოდ სიტყვებს ზეპირად ამბობდა და ისიც უსიცოცხლოდ, თითქო ძალას ვინმე ატანსო. სცენაზედ საჭიროა თამაშობა და არა მხოლოდ ლაპარაკი. არც გრაფინია ვარგოდა. აი ჩემი გულწრფელი რჩევა ამხანაგობისადმი, როდესაც დასი იწვევს რომელსამე არტისტს საგასტროლოდ, თვითონვე უნდა რიგიანად მოემზადოს და მოაწყოს საქმე. მარტო მოწვეულ მსახიობის იმედი არ უნდა ჰქონდეს. ვოდევილმა „უბედური დებიუტი“ ჩინებულად ჩაიარა.

25 თებერვალს, დასი წარმოადგენს ახალგაზრდა მსახიობთა საბენეფისოდ შალვა ნათაძის დრამას „ლევან ევანაძე“-ს ამ წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს ქ-ნი გაბუნია ცაგარლისა.

# რუსეთი

**პოლიტიკურ პატიმართა პატიების შესახებ.** ამ ბოლო დროს ხმები გავრცელდა, რომ მოსალოდნელია პოლიტიკურ დასჯილთა პატიება. სხვათა შორის ვოლოგდის გუბერნატორმა დიაჯერა ეს ხმა და მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს თხოვნით, გადაედო 15 ათასი მანეთი პოლიტიკურ დასჯილთათვის, შინ დასაბრუნებლად. გუბერნატორმა პასუხად მიიღო, ამ საგანზე ფიქრი ჯერ ადრეაო.

**მდგომარეობა ოდესაში.** 15 თებერვალს ოდესის გენერალ-გუბერნატორმა კაულბარსმა ინახულა უცხოეთის კონსულები და დიდ-ხანს ესაუბრა. კონსულებმა მოსთხოვეს, შავ-რაზმელებს იარაღი აჰყარეთო. კაულბარსი ამშვიდებდა იმათ.

**თათბირი უწესოებათა ჩასაქრობად.** 16 თებერვალს პეტერბურგში პოლიციისა და სამხედრო უფროსებს თათბირი ჰქონიათ იმის შესახებ, თუ რა ზომები უნდა მიეღოთ 20 თებერვალს, სათათბიროს გახსნის დროს მოსალოდნელ უწესოებათა ჩასაქრობად.

**საქმე გერცენშტეინის მო ვლის შესახებ.** როგორც უკვე ვაუწყეთ მკითხველებს, ფინლანდიაში გერცენშტეინის საქმის განხილვის დროს გამოირკვა ამ ბოროტმოქმედებაში თაოსნობა „რუსთა კავშირის“ ცნობილი წევრის იუსკევიჩ-კრასკოვსკისა. ფინლანდიის სასამართლომ დღემდის ვერ მისცა პასუხის გებაში ეს კაცი, რადგან პეტერბურგის ადმინისტრაცია ყოველნაირ საშუალებას ხმარობს, რათა იუსკევიჩ-კრასკოვსკი სასამართლოს ხელში არ ჩაუვდოს.

# დეპეშა
(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)
22 თებერვალი

**ოტტავა.** გრანდ-ტრენკ-პასიფიკის რკინის გზამ კანადაში გადასწყვიტა გამოიწეროს ინგლისიდან, შოტლანდიიდან და რუსეთიდან ოცი-ათი მუშა.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატაში რობერტსონმა სთქვა, რომ უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში საფრანგეთმა, გერმანიამ და რუსეთმა სამხედრო ფლოტი 1,150,000 ტონნით გაადიდეს, ინგლისმა კი ამავე ხნის განმავლობაში 1,132,000 ტონით გაადიდა. 1910 წ-ის დამლევს ინგლისს ექნება 8 ან 9 ახალი ჯავშნოსანი და 3 კრეისერი, გერმანიას კი მხოლოდ 4 ჯავშნოსანი და 2 კრეისერი, საფრანგეთს 2 ჯავშნოსანი. რობერტსონმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ გემები შიგ ინგლისში შენდება, ამიტომ იმედს აცხადებს, რამე მოულოდნელ შემთხვევის დროს საადმირალო შესაფერად მოიქცევაო. კონსერვატორმა ლიმ სთქვა, რობერტსონის სიტყვებით მართლა შესაძლებელია დროებით შემცირდეს გემების შენება, მაგრამ მხოლოდ დროებით. ძნელი სათქმელია, თუ სად მიიყვანს ინგლისს ჰააგის კონფერენცია და აღტაცებული განცხადება ბანერმანისა, რომელშიაც ნათლად გამოსჭვრეტს შიში გერმანიისადმი და აშკარა უკმაყოფილება გერმანელებისაო. ორატორი იმედოვნებს: კონფერენცია საზღვაო შეიარაღებას შეამცირებსო, მაგრამ არა სჯერა, რომ ამან რამე სასიკეთო ნაყოფი მოიტანოს.

**ლონდონი.** ბანერბანმა თავისს სიტყვაში, სხვათა შორის, სთქვა, ჩემ მოვალეობად მიმაჩნია აღვძრა საკითხი შეიარაღების შესუსტების შესახებ, რადგან მთელი ევროპის მოაზრე საზოგადოება ძლიერ მხარს უჭერს საერთო შორისო საქმის მშვიდობიან მედიატორულ წესით გადაწყვეტას. ამით კი აუარებელი სამხედრო ხარჯიც შემცირდებაო.

**კიევი.** ექვსის დღის სწავლის შეწყვეტის შემდეგ, უნივერსიტეტში სწავლა ისევ განახლდა. შესდგა კომისია 4 პროფესორისა და 4 სტუდენტისაგან, რომელმაც უნდა იზრუნოს უნივერსიტეტის ცხოვრების მოსაწესრიგებლად.

**ვარშავა.** დააპატიმრეს პოლონელ სოციალისტების პარტიის 24 წევრი. იმათ რკინის გზის სადგურებზე თავდასხმას აბრალებენ.

**სევასტოპოლი.** კომენდანტს ნეპლიუევს ყუმბარა ესროლეს. კომენდანტი ფეხში დაიჭრა.

რედაქტორ-გამომცემელი
**ივ. ი. მჭედლიშვილი.**


# განცხადებანი

## გამოვიდა
**ექიმ ბადრიძის წიგნი: „ადამიანის სხეული ბრძოლა არსებობისათვის.**
ქუთაისი, კილაძის სტამბა, ფასი 15 კაპეიკი. (10—კვ.—3)

პირველი კერძო სამკურნალო
## დოქ. ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წ.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
[illegible]

**დილით:**
**ზ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგ., ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.
**გ. მ. ჩიქოვანი:** $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.
**ზ. ი. ზაზანაშვილი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.
**მ. გ. ავეტიქიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**გ. ი. გმელიშვილი:** 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—$1^1/_2$ ს. შინაგანი და საბავშვო.
**ა. ი. შჩერბინინა:** $1^1/_2$—2 საათმ. საბებიო და ქალებისა.
**გ. ი. გურგენოვი;** 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

**საღამოთი:**
**გ. ი. გმელიშვილი** $6^1/_2$—$7^1/_2$.
რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი
მედიც. დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი.** (150—ხალ.—28)

გამოვიდა და დარიგდა გასაყიდად
**ახალი ქართული წიგნი**
## მარქსიზმის შესახებ
ნ. მაქსიმოვისა, თარგმანი რ. ჯ—დრისა.
**ფასი 10 კაპ.**

**საზოგადოების**
## საყურადღებოდ
**ვისაც უნდა** დააწერინოს არზა, თხოვნა, საჩივარი სასამართლოებში მისართმევად, შვილების სახელმწიფო ხარჯზე სკოლებში მისაღებად; **ვისაც უნდა** სალდათობის საქმეზედ თხოვნის შედგენა; **ვისაც უნდა** საჩივარი ან თხოვნა მისცეს ნამესტნიკს, გუბერნატორს; **ვისაც უნდა** თხოვნა მიართვას ხელმწიფეს ანუ მინისტრებს, **ვისაც უნდა გაეყაროს მეუღლეს—იმათ უნდა მიმართონ** ავლაბარში, ნუხისა და შემახის ქუჩების კუთხეში, საკუთარ სახლში **თ. ზ. ნასიძეს.**
მთხოვნელები მიიღებიან დილით 10—12 საათამდე და საღამოთი 5—7 საათამდე.
**ხელფასი ზომიერია.** (3—უ.—3)

## კბილის საექიმოს სკოლა ლ. შტრეიხერისა
**გადვიდა** ერევნის მოედანზე (პუშკინის ქუჩა, № 3), საკრედიტო საზოგადოების სახლში.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8 საათიდან საღამოს 7-მდე. კვირაობით დილის 9 საათიდან 1-მდე. ფასი შემდეგის ნიხრით: რჩევისათვის ან კბილის ამოღებისათვის (ძირისა)—20 კაპ.; პლომბა 50 კაპეიკიდან; ხელოვნურ კბილის ჩაყენება—3 მანეთი თითო კბილის სადოსტაქრო აპერაციებსაც აკეთებენ. (100—73)

მიიღება ხელის მოწერა 1907 წლისათვის.
**საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი**
წელიწადი **ნაკადული** მესამე
**1097 წლის 1 იანვრიდან 1908 წლის 1 იანვრამდის წლიურ ხელის-მომწერლებს მიეცემა:**
**24** წიგნი, ჟურნალი „ნაკადული“ **მცირეწლოვანთათვის** **12** წიგნი, ჟურნალი „ნაკადული“ **მოზრდილთათვის**
დასურათებული წიგნები წლიურ ხელის-მომწერთა საჩუქრად არა ნაკლებ ასის გვერდისა თითო. პირველად მიიღებენ გრიმის ზღაპრებს.
წლიური ფასი ორივე გამოცემისა დამატებებით, ე. ი. 39 წიგნისა რჩება ისევ 5 მანეთი, ნახევარის წლით 2 მან. 50 კაპ., ცალკე პატარებისათვის 24 წიგნი—3 მანეთი, მოზრდილთათვის 12 წიგნი—3 მანეთი. ხელის მოწერა მიიღება წლიურად და ნახევარი წლით. თითო ნომრი ჟურნალისა პატარებისათვის ეღირება 15 კაპ., მოზრდილთათვის—25 კაპ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.
ვთხოვთ ხელის-მომწერლებს ადრესი გარკვევით დასწერონ, დროზე შეგვატყობინონ ბინის გამოცვლა.
**ხელის მოწერა მიიღება:**
1) „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპ., ზუბალაშვილის სახ., № 8 ყოველ დღე 9—2 საათამდე, სამშაბათობით საღამოთიც; 2. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურ.; 3. წიგნის მაღაზია „Новая Рѣчь“-ში, გოლოვინის პროს.; 4. წიგნის მაღაზია „Образованіе“-ში, მიხაილოვის ქუჩა; 5. **ქუთაისი**, წიგნის მაღაზია „კოლხიდაში“; 6. **ბაქო**, ანა გრიგოლის ასულ ყვანიასთან და ნინო ქაიხოსროს ასულ დეკანოზიშვილთან; 7. **ბათუმი**, მარიამ ივანეს ასულ ელიავასთან, კნეინა სოფიო ნაკაშიძესთან და „Черноморскія Новости“-ს რედაქციაში; 8. **ფოთი**, წიგნის მაღაზია „ივერიაში“; 9. **ოზურგეთი**, წიგნის მაღაზია „იმედში“; 10. **თელავი**, საზოგადო ბიბლიოთეკაში, ბ. გოშაძესთან: 11. **ელისავეტპოლი**, ბ. კონსტანტინე ოდიშარიასთან; 12. **ახალციხე**, სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორ ბ. ქიქოძესთან.
რედაქტორი: **მ. ი. დემურია.** გამომცემელი: **თ. პ. ი. თუმანიშვილი.**